ცნობის ფურცელი

№ 1984 ხუთშაბათი, 14 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 198

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერში ექვსი გვერდია

წარმოდგენა 14. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1902 წელს

ნინო ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

მუშაკი და ნებიერი

(Le Maitre de forges)

კომედია 4 მოქ. და 5 სურ. ჟორჟისა. თარგ. პ. ყიფიანის მიერ

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომაშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვანი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, ძლენტი, რკინელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„მტერმოყვარე ძმები“**, **„გოვერდეის მკვლელობა“**, (კ. მესხის ბენეფისი), **„მზის მოკლებულნი“**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე;

ე ქ ი მ ე ბ ი:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ვ. მ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ზარხშქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. ვ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკროსკოპიული და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) **მასაჟი და სამკურნალო გიმნასტიკა** ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩ. სახლი სვგინამეძისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შ რ ო მ ა“

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან. მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—22)

ე ქ ი მ ი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კლუბის პირდაპირ. (45—23)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 460).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ილისაბიძის ქუჩა. № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ქალაქ ბირმინჰამში ჩემბერლენის პატივსაცემლად დიდი ნადიმი გამართეს. ნადიმის დროს ქალაქის მოურავმა კოლონიების მინისტრისა და იმის მეუღლის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ჩემბერლენს სამხრეთ-აფრიკას მეუღლეც გაჰყვება. კოლონიების მინისტრს გული აუძგერა ამ სადღეგრძელომ. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს იმაზე, რომ ჩემის მეუღლის სადღეგრძელო წარმოსთქვითო. ჩემი მეუღლე ყოველთვის ერთგული მეგობარი და დამრიგებელი იყო ჩემიო. შემდეგ ჩემბერლენმა სთქვა:

„ამბობდნენ, ვითომ ჩემზე ძლიერ არავინ არა სძულთ მთელს ინგლისშიო. სხვისა არ ვიცი, და დარწმუნებული ვარ ბირმინჰამი მაინც არ ეთანხმება ამნაირ აზრსა. მე თითონ კი პოლიტიკასა და კერძო პირებს ერთმანერთში არას დროს არ ვურევდი. ეხლა სამხრეთ-აფრიკას მივდივარ, რომ იქაური საქმეები ადგილობრივ შევისწავლო. უმაღლეს კომისარს ლორდ მილნერს მთავრობა წინანდებურად ენდობა, მაგრამ მე მინდა ჩემის თვალით ვნახო, რა ნაყოფი მოაქვს იმის პოლიტიკას. იმედი მაქვს, ადგილობრივ სამ დღეს უფრო მეტს გავიგებთ, სანამ ერთის თვის განმავლობაში „ლურჯ წიგნებიდან“ და დეპეშებიდან შევიტყობთ ხოლმე. ყველაზე მეტად იმათი შველა მწადიან, ვინც ომის დროს ინგლისს ეხმარებოდა, მაგრამ იმათ ინტერესებზეც ვფიქრობ, ვინც ადრე ჩვენი მტრები იყვნენ და ვისაც, იმედი მაქვს, ახალს წევრებს შევურიგებ. ჩემი ოპტიმიზმი ისე შორს მიდის, რომ ეხლავე მთელი სამხრეთ-აფრიკა ბრიტანის ბაირაღ ქვეშ შეერთებული მგონია. შეიძლება, ვსცდებოდე, მაგრამ, იმედი მაქვს, ჩემი ბირმინჰამელი ამომრჩევლები არ გამიწყრებიან ამ შეცდომისათვის. მაინც იმ იმედით მივდივარ სამხრეთ-აფრიკას, რომ, თითო-ოროლა კაცის გარდა, ყველა ბრიტანიის ქვეშევრდომები სამხრეთ-აფრიკაში მეგობრულად შეიკრიბებიან ბრიტანიის ბაირაღ ქვეშ“ (ძლიერი ტაშის-ცემა).

◆ წარსულ პარასკევს კაპშტადტში აფრიკანდერების კავშირის მეთაურების კრება მოხდა. მეთაურებს აზრადა აქვთ კავშირის წესდება შესცვალონ იმნაირად, რომ კავშირი ერთს რომელსამე მოდგმას და ეროვნებას კი არა, სამხრეთ-აფრიკის ყველა კოლონიების განვითარებას ემსახურებოდეს. განზრახულ ცვლილებათა დასამტკიცებლად მალე კავშირის წევრთა საზოგადო კრებას მოახდენენ. „დეილი ნიუს“-ი სიხარულით ეგებება ამ ამბავს: „სამხრეთ-აფრიკისათვის კეთილის მომასწავებელი ამბავიაო.“ გაზეთი შეჰნიშნავს:

„სამხრეთ-აფრიკას ეროვნული პარტია სჭირია. ამ პარტიაში ჰოლანდიელები და ინგლისელები განურჩევლად უნდა შევიდნენ. ისეთი კაცები უნდა შევიდნენ ამ პარტიაში, ვისაც სამხრეთ-აფრიკა თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ და ვისიც აწმყო და მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული სამხრეთ-აფრიკის ბედთან. მილიონერები, საზოგადოთ არ გამოდგებიან ამისთანა საქმისათვის და სამხრეთ-აფრიკის პოლიტიკაც, ჩვენის აზრით, მილიონერების ხელში არ უნდა ჩაგდონ. მილიონერები ისე უყურებენ ყოველ ქვეყანას, როგორც გამდიდრების წყაროს. სულ სხვანაირად უყურებენ ისინი, ვინც იციან, რომ იმათ სიკვდილის შემდეგ იმათი შვილებიც იმავე ქვეყანაში იცხოვრებენ. დიდი განსხვავებაა ამ ორ ჯგუფსა და იმათ აზრებს შუა. ადვილად შესაძლებელია, სამხრეთ-აფრიკაში ამ ორ აზრის დაკვალად გაიყვნენ პარტიები. ჭეშმარიტი კოლონიალური პოლიტიკა სიხარულით უნდა მიესალმოს „კავშირის“ პროგრამის გაფართოვებას. მართლაც, ავსტრალია და კანადა როგორ მიაღწევდნენ ასეთ წარმატებას, დარწმუნებულნი რომ არა ყოფილიყვნენ, კანადა კანადელებისათვის იქნებაო და ავსტრალია—ავსტრალიელებისათვისაო. სამხრეთ-აფრიკის წარმატებისათვისაც აუცილებლად საჭიროა დაარსდეს და გაძლიერდეს ერთი ადგილობრივი პარტია. თავის ბაირაღზე პარტიამ უნდა დააწეროს: „აფრიკა—აფრიკანდერებისათვის“

◆ „მანჩესტერ გარდიან“-ის საკუთარი კორესპონდენტი იუწყება კაპშტადტიდან: კაპის კოლონიის მთავრობამ გადასწყვიტა, მთელს კოლონიაში საყოველთაო ამნისტია გამოვაცხადოთო, ესე იგი, ვისაც ომის დროს ან აჯანყებაში მიუღია მონაწილეობა, ან სხვა რამ დანაშაული ჩაუდენია, სულ მთლად ეპატიოსო. აფრიკანდერთა კავშირს აგიტაცია ჰქონდა გამართული: გამოძიება მოვახდინოთ იმის თაობაზე, სამხედრო კანონები როგორა სრულდებოდა კოლონიაშიო. რაკი მთავრობამ საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება გადასწყვიტა, კავშირმაც ხელი აიღო აგიტაციაზეო.

საფრანგეთი. პალატის დადგენილების თანახმად მინისტრების საბჭომ გადასწყვიტა 1-ლ ნოემბერს, საზღვაო მინისტრი პელტანი ახალ ჯავშნიან გემების აშენებას უნდა შეუდგესო. ამას გარდა საბჭომ მიანდო პელტანს, საბიუჯეტო კომისიას მოელაპარაკეთ, თუ საიდან გავისტუმროთ გემებისათვის საჭირო ხარჯიო. ჰფიქრობენ, ამ საქმისათვის 12 მილ. ფრანკს 1902 წლის ბიუჯეტიდან გადასდებენო და 20 მილიონს 1903 წლის ბიუჯეტიდანაო.

ჯავშნიან გემების აშენება ჯერ კიდევ ლანესანმა შეუკვეთა—საზღვაო მინისტრად იყო ვალდეკ-რუსოს კაბინეთში,—რადგანაც 1900 წელს პალატამ დაადგინა სამხედრო ფლოტი გაძლიერდესო. მინისტრმა პელტანმა-კი შეაყენა ამ გემების აშენება. ამაზე პელტანს პალატაში დეპუტატები შეეკითხნენ. პელტანმა მიუგო: გემების აშენება იმიტომ შევაჩერე, რომ პალატამ ამ საქმისათვის საჭირო ფული არ მისცა მთავრობასაო. საზღვაო მინისტრის მოწინააღმდეგენი კი ირწმუნებიან: პელტანმა სულ სხვა მიზეზით შეაჩერა გემების აშენებაო; მინისტრი დიდის გემების მტერია,—იმის აზრით, პატარა გემები სჯობსო. მაგრამ პელტანი მაინც ბეჯითად ამტკიცებდა პალატაში: მხოლოდ პარლამენტის უმაღლეს საფინანსო კონტროლს ვიცავდიო; ეს კონტროლი მით უფრო საჭიროა, რომ მინისტრს გარშემო სულ მძლავრი კაპიტალისტები ახვევია. ამ კაპიტალისტებს შეუძლიანთ მინისტრს ძალა დაატანონ და იმდენი გემი გააკეთებინონ, რამდენიც საჭირო არც კია. მაგალითად, ბევრი დიდრონი სამეტალურგიო ქარხანა თითქმის მარტო ჯავშანს ამზადებს გემებისათვის. ამათ დიდძალი საქმე სჭირდებათ. როცა-კი მთავრობა მრავალ ჯავშნიან გემს არ აშენებს, ესენი მაშინვე ყვირილს მორთავენ ხოლმე: სამშობლო გვეღუპება, დიდი საფრთხე ემუქრისო. მერე, ნამეტან სქელ ჯავშანსაც აკეთებენ, გაცილებით უფრო სქელს, ვიდრე სხვა სახელმწიფოების გემებსა აქვთ. ასეთი სქელი ჯავშანი საზარალოც კია გემებისთვის; სამაგიეროდ კაპიტალისტებს მსუქანს მოგებას აძლევს“. პელტანმა ციფრებით დაამტკიცა, თუ რა საკვირვლად იზრდება კაპიტალისტების მოგება.

მაგრამ შოვინისტებმა ისე აალელეს დეპუტატების, რომ პალატამ დაადგინა: სამხედრო ფლოტი 1900 წელს შემუშავებულ პროგრამის თანახმად გაძლიერდესო.

◆ გაზ. „მატენ“-ს შეუტყვია: იუსტიციის მინისტრმა ემბერების საქმე მოსამართლე ლე მერსიეს ჩამოართვაო. წინად ლე მერსიეს მინდობილი ჰქონდა, გაეგო სად გაიქცნენ ემბერებიო. თუ რისთვის ჩამოართვეს ლე მერსიეს ეს საქმე—ჯერ არავინ იცის. „ტან“-ი ამბობს, იუსტიციის მინისტრმა იმიტომ მოახდინა ეს განკარგულება, რომ ერთმა უმაღლესმა პოლიციელმა მოხელემ (ალბად, კოშეფერი იქმნება) თავის თავის გასამართლებლად მთავრობას აცნობა, გამომძიებელმა ლე მერსიემ თავის სამსახურის მოვალეობა დაარღვიაო.

ამავე საქმეზე საინტერესო ფაქტს მოგვითხრობენ გაზეთები: საბიუჯეტო კომისიას შეატყობინეს, იუსტიციის სამინისტროს ემბერების საქმეზე საზღვარ გარედა და კოლონიებში გაგზავნილი დეპეშები არც მეტი, არც ნაკლები, 44 ათასი ფრანკი დაუჯდაო.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ამას წინად ჰუნგრეთის პირველ მინისტრად ნამყოფმა ბანფიმ სიტყვა წარმოსთქვა სარწმუნოების თაობაზე. ბანფის სიტყვამ ყველა გაზეთები აალაპარაკა. პირველ მინისტრად ნამყოფს უთქვამს: ყველა სარწმუნოებას თანასწორი უფლება უნდა მიეცესო და ყველა ეკკლესიებისა, სამღვდელოებისა და სკოლებისათვის საჭირო ხარჯი სახელმწიფომ გაისტუმროსო. სარწმუნოებას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს პარტიების შედგენის დროსაო. ბანფიმ პროტესტი გამოაცხადა კლერიკალების მოქმედების წინააღმდეგ: კლერიკალებს ჰსურთ ჰუნგრეთში მარტო კათოლიკეთა სარწმუნოება იყოსო. სხვა ქვეყნებიდან განდევნილ ბერების კონგრეგაციებს ნება არ უნდა ჰქონდეთ ჰუნგრეთში დასახლებისაო. კათოლიკეთა ბერები საშიში არიან ჰუნგრეთის პროტესტანტებისათვისაო და მთლად ჰუნგრეთის ერისათვისაო.

◆ ქვემო ავსტრიის ლანდტაგის წევრთა არჩევნის დროს, როგორც ვიცით, ათასის ხრიკისა და თითონ პოლიციის შემწეობით, ანტისემიტებმა გაიმარჯვეს. გაზეთების ცნობით, ამ ლანდტაგში 50 წევრი ანტისემიტი იქნება და 28 გერმანელი პროგრესისტი.

ივერიელი

ახალი ამბავი

◆ პოლიტიკურ ეკონომიის დოქტორს ფ. გოგიჩაიშვილს დაუსრულებია, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მინდობილობით, **გორის მაზრის მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობის გამოკვლევა-ძიება**. ბ-ნი გოგიჩაიშვილი ამ ჟამად ტფილისშია და შეუდგება შეგროვებულ მასალის შემუშავებას, რომ „საზოგადოებას“ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს. შეგროვილის ცნობებიდან მცხოვრებთა მეტად უნუგეშო მდგომარეობა აღმოჩენილა თურმე; განსაკუთრებით შესამჩნევია ამ მხრით დროებით ვალდებულთა და ხიზანთა მდგომარეობა.

◆ გაზ. „მშაკ“-ი იუწყება, რომ **კახეთის რკინის გზის** ასაშენებლად ტფილისში ამხანაგობა დგება და საფრანგეთის ფულიან კაცების დახმარებით მუშაობასაც უნდა შეუდგნენ თავ. ნ. ჭავჭავაძისა და ინჟენერ სიმბერგის მიერ აღებულ კონცესიის მიმართულებითაო. ამ ფულიან კაცების წარმომადგენელს უთავებია ამხანაგობის შედგენაცა და ამ საქმის განაღდებაც; ამას გარდა სხვა სავაჭრო-სამრეწველო საქმეების აღებაც ჰსურთ ამ კაცებსაო.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს შეუტყვია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობისათვის 130 ათასი მანეთი გამოუგზავნიათ **ჭიათურის რკინის გზის გასაგრძელებლად** სადგურ დარკვეთიდან საჩხერემდე.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის 1-ლ გილდის ვაჭარს **ე. ზ. როზენფელდს რამდენიმე დასი შეუდგენია** ინჟენერთა მეთაურობით ნუხა-შუშის მისასვლელ რკინის გზათა მიმართულების გამოსაკვლევად. ეს დასები ამ დღეებში მიემგზავრებიან თავ-თავიანთ ადგილას და, როგორც ამბობენ, ამ გზების მიმართულების გამოკვლევა მომავალ იანვრისათვის დამთავრდებაო.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ გზათა **ინჟენერი რაჰიმ-ბეგ ახუნდოვი** შავის-ზღვის განყოფილების მუშაობათა უფროსად დაინიშნა და ამ მოკლე ხანში ტუაფსეს მიემგზავრება, სადაც საცხოვრებელი ბინა ექმნება.

◆ ბ-ნ ვ. გუნიას მიერ შედგენილი **„საქართველოს კალენდარი“**, რომლის გამოცემაც იკისრა „ქ. შ. წ. გ. საზოგადოებამ“, უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გასასყიდად დარიგდება. კალენდარი მეტად საყურადღებოდ არის შედგენილი. ჩვენის ქვეყნის შესახებ ვრცელ ცნობების გარდა, კალენდარში ჩართულია მრავალი სურათი ქართველ მწერლებისა, საქართველოს შესანიშნავ ისტორიულ ნაშთთა, გადაღებულია აგრეთვე სურათი საქართველოს ოთხის სხვა და სხვა დროის სამეფოს გერბისა და სხვა. მეტად საინტერესოდ არის შედგენილი კალენდრის სალიტერატურო განყოფილება. წიგნი სუფთად და შნოიანად არის გამოცემული.

◆ 19 მაისს პეტერბურგში, რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოების კრებაზე, **პეტერბურგის საბჭოს წევრს კედრინს** წაუკითხავს საყურადღებო მოხსენება ქალაქის რკინის გზისთვის ელექტრონის შემოღების შესახებ. რადგანაც ამ ჟამად ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ საქმეს არჩევს, გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილემ პეტერბურგის ქალაქის მოურავს სთხოვა გამოუგზავნოს გამგეობას კედრინის მოხსენება.

◆ ხვალ, 15 ნოემბრისათვის, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში **დანიშნულია კრება** ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა. კრებამ 40 საქმე უნდა განიხილოს. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს გუბერნატორის მოწერილობა იმის შესახებ, როგორ ასრულებენ მოვალეობას მოქალაქეთა ხარკის ამკრებ მამასახლისის თანაშემწენი; გუბერნატორისავე მოწერილობა იმ ფულის დახარჯვის შესახებ, რომელიც ინახება საზოგადოების სახელით სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში; მოხსენება გამგეობისა იურისკონსულტის თანამდებობის დაწესების შესახებ და სხვა საქმეები.

◆ მიხეილ მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის მღვდელს მ. გრინიოვს მანგლისში უცნობებია სასულიერო მთავრობისათვის, რომ მანგლისის მხარეს გზებზე მომუშავე ხალხი ძველ **მონასტერთა ნაშთებს აფუჭებენ, არღვევენ**, ზოგგან ბინადაც აქვთ გადაქცეულიო და სთხოვს, საგუბერნიო ადმინისტრაციის შემწეობით, აეკრძალოთ მუშებს ძველ ნაშთთა დანგრევა-გათხრება. მ. გრინიოვი ნანგრევების განახლებასაც სთხოვს სასულიერო მთავრობას.

◆ სოლოლაკის მთაში **გვირაბის გაყვანის** გამო ქალაქის გამგეობასა და კომისიას დაუმთავრებიათ განხილვა იმ პირობისა, რომლითაც ქალაქი უნდა შეეკრას ინჟენერებს ბ-ნთ ხატისოვსა და ბრაილოვსკის. კომისიის წევრს ა. ბაზოვს უთხოვია, 40 წლის მაგიერ 30 წლის ვადით მიეცეთ კონცესიონერებს გვირაბით სარგებლობაო, მაგრამ შეერთებულ კრებას არ მიუღია ეს რჩევა. არც მეორე რჩევა მიუღია შესახებ იმისა, რომ ეხლავე გადაწყდეს, ვინ უნდა გაიყვანოს გვირაბში ტრამვაიო. კომისიამ ადრეულად იცნო ამაზე ლაპარაკი, რადგან კონცესიონერები მხოლოდ გვირაბის გაყვანის ნებას თხოულობენ ამ ჟამად და ტრამვაის შესახებ ლაპარაკი თავის დროზე ჩამოვარდება, როცა ამას საჭიროება მოითხოვსო. კომისიას მაინც დაუდგენია—იურისტებს დავეკითხოთ გვირაბში ტრამვაის გაყვანის საქმეში ვის უფრო უპირატესობა ექმნება—კონცესიონერებს, თუ ტრამვაის უსახელო საზოგადოებას, რომელთანაც ამ საგანზე პირობა აქვს ქალაქს დადებულიო.

◆ სოფ. წყნეთის (ტფ. მაზრა) საზოგადოებას დაუდგენია და ტფილისის გუბერნატორსაც დაუმტკიცებია, რომ ამ სოფელში **ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა დაარსდეს**. საზოგადოებას უკისრნია ამ სკოლის შესანახი შემდეგი ყოველწლიური ხარჯები: მასწავლებლისა—90 თუმანი მოსამსახურისა 10 თუმანი და სამი საჟენი შეშა.

◆ **გურიიდან გვწერენ**: 10 ნოემბერს, საღამო ხანს, სოფ. ქვედა ბახვს გლეხებმა სამსონ, ილიკო და ლადიმე ნიკოლაიშვილებმა და იასონ ანდღულაძემ, უიარაღოებმა, შეიპყრეს შეიარაღებული ორი გურული ყაჩაღი—ლომაძე და მასხულია. მოწინააღმდეგენი მოულოდნელად ერთმანეთს შეეფეთხენ. სალამის და შეკითხვის შემდეგ ლომაძეს ნიკოლაიშ. თოფის სროლა მოუნდომა, მაგრამ ნიკ. ხელი აუკრავს, მეორეს ტყვიას მარტო ნაბადი გაუწვავს. ამასობაში სხვები ხელით სტაკებიან და იქვე გაუბაწრავთ. შეუტყობინებიათ მაშინვე მამასახლისისათვის და ქ. ოზურგეთში პოლიციისათვის. ოზურგეთიდან მაშინვე გაეშურა ბოქაული „სტრაჟნიკებით“ და იმ ღამესვე ჩამოიყვანეს ოზურგეთში. ლომაძე ფოთის ციხიდან გაქცეულია; იმას, სხვათა შორის, ჰბრალდება გლეხების მიერ მოსყიდულობა და აზ. ბ. ქარცივაძის მოკვლა.

◆ 1-ლ **საკვირაო სკოლაში** ამ ჟამად 150-მდე მოსწავლეა თურმე სხვა-და-სხვა საგნებისა. სხვათა შორის აქ სიმღერასაც ასწავლიდნენ, მაგრამ ამ წლიდან ეს საგანი უფრო რიგიანად სწარმოებს; მასწავლებლობს ბ-ნი ცხომელიძე, რომელსაც ამ ჟამად კარგი გუნდი შეუდგენია მუშებისაგან. თუმცა ოთხშაბათ-ხუთშაბათობითაა სიმღერის სწავლება, საღამოს 8 საათიდან 10-მდე, მაგრამ მუშები მაინც გულიანად ეტანებიან სიმღერის სწავლას.

ქალაქში საშუალო თუ სხვა სასწავლებლები ბევრია, მაგრამ საკვირაო სკოლა მეტად გაჭირვებულია თურმე იმითი, რომ მასწავლებლები ძალიან აკლიათ; ყველაზე უფრო მუყაითად მასწავლებელი-ქალები ეტანებიან ამ საქმეს.

◆ განსვენებულ ნ. ი. ზუბალაშვილისაგან ტფილისის **ღარიბთა თავ-შესაფრად ნაანდერძევ** სახლის აგებას უკვე შეუდგნენ სუდების ქუჩაზე—მიწის მუშაობა დაუწყიათ. სამუშაოს იჯარით გასაცემ პირობების განხილვა კომისიას უკვე დაუმთავრებია.

◆ ფინანსთა სამინისტროს ცნობებით, ბოლოს დროს ძალიან გაძლიერდა **თუთუნის მოყვანა და მრეწველობა კავკასიაში**. შარშან კავკასიიდან გაგზავნილ იქმნა თუთუნი: პეტერბურგის ფაბრიკებში—76.914 ფუთი, ტავრიჩესკი გუბერნიის ფაბრიკებში—34.907 ფ., დონის ოლქში—32,450 ფ., ჩერნომორისაში—13,808 ფ., ხარკოვისაში—4.365 ფ., კიევისაში—3080 ფ., მოსკოვისაში—1430 ფ., პოლტავისაში—946 ფ., ეკატერინოსლავისაში—850 ფუთი და სხვა. სულ კი კავკასიიდან შარშან გაზიდეს 172.184 ფუთი თუთუნი, თითქმის 25 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე წინა წელს.

◆ ქალაქის საბჭოს არჩეული ჰყავს კომისია, რომ უსახელო ქუჩებს თავ-თავისი სახელები მოუძებნოს. ამ კომისიას **ნაძალადევის უბანი და ლოტკინ-გორა** აქამომდე არ მოჰგონებია. ქუჩების სახელების დარქმევას ვინა სჩივა, ნეტავი ის აესრულებინა ქალაქს, რისაც საჭიროება ჯერ კიდევ შარშან აღიარა სარევიზიო კომისიამ—ამ უბნებისათვის საკუთარის ექიმის დანიშვნა, წყლის გამოყვანა და ლოტკის გორის მცხოვრებლებისათვის რკინის გზის ლიანდაგზე გადასავალ ხიდის აგება, რომ ამით ქალაქში მიმოსვლა გაუადვილდეთ. მიყრუებულია ამ მიყრუებულ უბნების საჭიროებანი...

◆ გადამდებ სენით **საავადმყოფოს ექიმი ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** რამდენიმე ხნით დათხოვნია ქალაქის გამგეობა. სასანიტარო ინსპექტორს უცნობებია გამგეობისათვის, რომ ქ-ნ ბაქრაძე-დედაბრიშვილის მაგიერ უთუოდ უნდა მოვიწვიოთ ექიმი, რადგან საავადმყოფოს ვერ აუვლიან დანარჩენი მორიგი ექიმებიო და ამ დროებით ექიმს ყოველ მორიგეობაზე ხუთი მანეთი მიეცესო.

◆ წარსულ ღამეს, მიხეილის ქუჩაზე, ა. ფარსადანოვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. შუაღამისას სახლის შუა სართულის სამზარეულოს ახლოს ცეცხლი გაჩენილა, აქედან ცეცხლი უცბად ხის კიბეს მისდებია და მერე იქვე ახლოს სარაის, სამრეცხველოს და მერე თავლასაც წასჭიდებია,

ფელეტონი

იონიჩი*)

(ან. ჩეხოვიდან)

(დასასრული)

III

მეორე დღეს, საღამო ხანს, ტურკინებისკენ გაემგზავრა ექიმი, რადგან გადასწყვიტა კიდეც მისულიყო და ოფიციალურად წინადადება მიეცა კატოსთვის. მაგრამ თვისი გადაწყვეტილება ვერ განახორციელა, რადგან კატო თავის ოთახში ჩაკეტილიყო და თმას ავარცხნინებდა—საკრებულოში საცეკვაო საღამო იყო და იქ მიეჩქარებოდა.

ექიმს სასადილო ოთახში ჯდომა და ჩაის სმა დასჭირდა ისევ. ივან პეტროვიჩმა, შეამჩნია თუ არა სტუმარი მოწყენილიაო, ამოიღო ჯიბიდან თავიანთი მოურავის სამასხარო წერილი და წაუკითხა. მოურავი ამტკიცებდა წერილში, სოფელში კაი ხანია სირცხვილი გადაიბუგა, დაიწვა და სინიდისი გახუნდაო.

„ესენი მზითევს ცოტას არ მისცემენ, მგონია“,—ჰფიქრობდა სტარცევი წერილის კითხვის დროს.

უძილოდ გატარებულ ღამის შემდეგ როგორღაც კარგად ვერა ჰგრძნობდა სტარცევი თავსა, თითქოს რაღაც ტკბილის, მაგრამ მაგარის, სასმელით დაუთვრიათო; გულზე რაღაცა შემოსწოლოდა, მაგრამ მაინც სიხარულსა და სასიამოვნო სითბოს ჰგრძნობდა გულში, თუმცა გონების რომელიღაც კუნჭული ეჩურჩულებოდა:

„გაჩერდი, სანამ დრო გაქვს კიდევ! აბა საშენო რო არ არის? ის გააზიზებულია, ორ საათამდინ სძინავს და შენ კი დიაკვნის შვილი ხარ, სოფლის ექიმი...“

„რა ვუყოთ მერე, რომ სოფლის ექიმი ვარ?— განაგრძობდა ფიქრს ექიმი: — რა უშავს?“.

„გარდა ამისა, ჯვარი რომ დაიწერო იმაზე, —ჩასჩურჩულებდა ვიღაცა:—ცოლის ნათესავები სოფელში აღარ დაგაყენებენ, დაგანებებინებენ სოფლისთვის თავს და ქალაქში გადმოგასახლებენ“.

„რა ვქნათ, გადმომასახლონ ქალაქში, რა? —განაგრძობდა ისევ:—მზითევს მომცემენ, თითონვე მომიწყობენ სახლსა, რა მენაღვლება?...

ბოლოს საცეკვაოდ დეკოლტეში გამოწყობილი კატოც გამოვიდა. სტარცევი უყურებდა მის ქორფა სხეულის ლამაზ მოყვანილობას და სიტყვის თქმაც ვერ მოეხერხებინა, შეჰყურებდა მას და იღიმებოდა.

ქალი წამოდგა წასასვლელად და გამოთხოვება დაიწყო, მაგრამ ექიმმაც წასვლის სურვილი გამოაცხადა, მიზეზად ავადმყოფები მოიგონა.

— რას იზამ? რაკი საქმე გქონიათ, ვერ დაგიჭერთ,—უთხრა ივან პეტროვიჩმა:—მაშ ბარემ კატოც მიაცილეთ კლუბში.

კარში წვიმა ჟინჟლავდა და საშინლად ბნელოდა; ეტლის ჩახრინწიანებული ხველა რომ არ ყოფილიყო, ვერც კი დაინახავდა კაცი—ეტლი სად იდგა. ეტლს დახურეს.

— წადი! მშვიდობით, თქვენი ჭირიმე.

ეტლი დაიძრა.

— გუშინ სასაფლაოზე ვიყავ,—დაიწყო სტარცევმა:—რა შეუბრალებლად და დაუნდობლად მომეპყარით, კატო!

— სასაფლაოზე იყავით თქვენა?

— დიაღ, ვიყავ და თითქმის ორ საათამდის გელოდით. მე ვიტანჯებოდი...

— რამდენიც გინდათ, იტანჯეთ, თუ ხუმრობაც არ გესმით.

კატო, კმაყოფილი რომ ასე გაასულელა შეყვარებული ექიმი, გადაწვა ეტლში და ხარხარს მოჰყვა, მაგრამ უცბათ შეჰკივლა შიშისაგან, რადგან ეტლი, კლუბის ეზოში რომ შედიოდა, თითქმის ნახევარზე გადაიხარა გვერდზე. სტარცევმა ხელი მოჰკიდა წელში; შეშინებული ქალი დაუფიქრებლივ მიეკრა ექიმს და უკანასკნელმა ვეღარ მოითმინა, გატაცებით დაეწაფა კატოს ცხელ ტუჩებს და უფრო მაგრად ჩაიკრა გულში.

— კარგი, —ცივად უთხრა ქალმა და ერთ წუთს გადაფრინდა ეტლიდან. პოლიციელი კლუბის შესავალ კარებთან საზიზღარის ხმით გაჰკიოდა:

— რაღას გაჩერდი, შე სულელო? წადი, გაეთრიე.

სტარცევი წავიდა შინა, მაგრამ მალე დაბრუნდა. სხვის ფრაკში გამოწყობილი, რაღაც გაშეშებულ ყელსახვევით, სტარცევი შუაღამისას კატოს გვერდით იჯდა და გატაცებით ეუბნებოდა:

— ო, რა ცოტა იციან იმათ, რომელთაც სიყვარული არ გამოუცდიათ! მე მგონია, რომ სიყვარული ჯერ არც ერთ მწერალს არ აუწერია დანამდვილებით, ჯეროვანად. შეიძლება ეს ნაზი, სასიხარულო და მასთანვე ადამიანის მტანჯავი გრძნობა არც კი აიწერებოდეს. ვისაც ერთხელ მაინც გამოუცდია ეს წმინდა გრძნობა, ის არასოდეს არ მოისურვებს სიტყვით და კალმით მის გადაცემას. რა საჭიროა წინასიტყვაობა და აღწერა? რის მაქნისია მჭევრმეტყველობა? ჩემს სიყვარულს საზღვარი და დასასრული არა აქვს... გთხოვთ, გემუდარებით,—ძლივს წარმოსთქვა ცაბოლოს სტარცევმა:—ინდომეთ ჩემი ცოლობა!

— დიმიტრი იონიჩ,—დაიწყო დაფიქრებით კატომ და შეჩერდა:—დიმიტრი იონიჩ, დიდათა გმადლობთ პატივისცემისათვის, მე თქვენ პატივსა გცემთ, მაგრამ...—აქ ფეხზე წამოდგა და ისე განაგრძო:—მაპატიეთ, მე თქვენი ცოლობა არ შემიძლიან. ხუმრობით ნუ ვილაპარაკებთ. თქვენ ძალიან ძლიერ კარგად იცით, ბატონო, რომ ყველაფერზე მეტად მე ხელოვნება მიყვარს, მე მიყვარს და ვაღმერთებ მუსიკას. მე მინდა მას ვანაცვალო, მას შევწირო მთლად ჩემი სიცოცხლე. მე მინდა მსახიობი გავხდე, სახელი, გამარჯვება, თავისუფლება და დაფნის გვირგვინები მენატრებიან და თქვენ-კი გინდათ აქ, ამ საზიზღარ ქალაქში დავრჩე და ფუჭი, უსარგებლო ცხოვრება განვაგრძო, განვაგრძო მაშინ, როცა მისი ატანა აღარ ძალმიძს. გავხდე ვისამე ცოლად—ო, ღმერთმა დამიფაროს! ადამიანი უმაღლეს, წმინდა მიზნისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, ოჯახი-კი ყველა ამგვარ მისწრაფებისთვის ბორკილია და სამარე. დიმიტრი იონიჩ, (აქ ძლივს შესამჩნევად გაიღიმა ქალმა, რადგან სთქვა თუ არა დიმიტრი იონიჩი, „ალექსეი ფეოფილაქტიჩი“ მოაგონდა), დიმიტრი იონიჩ, თქვენ მეტად გულკეთილი, კეთილშობილი და და ჭკვიანი ადამიანი ბრძანდებით, თქვენ ყველას სჯობიხართ...——აქ ცრემლებმა შეუთამაშეს თვალებზე:—მე თანაგიგრძნობთ მთელის ჩემის არსებით, სრულის გულით და სულით, მაგრამ... ვიცი, შეხვალთ ჩემ მდგომარეობაში...

და ცრემლები რომ შეეკავებინა, მიბრუნდა და ოთახიდან გავიდა.

სტარცევის გულმა შესწყვიტა მოუსვენრად ძგერა. ქუჩაში გასვლის უმალ მან ყელ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1983.

თავლას ზევითა და სარაიაში ბევრი თივა ყოფილა შენახული, ამის გამო ცეცხლი ძლიერად მოსდებია შენობას. მქრობელი რაზმი იმ დროს მისულა, რომ ეზოს შენობები სულ ცეცხლში იყო, ამიტომ მთელი ძალ-ღონით ქუჩის სამ-სართულიან სახლის გადარჩენას შეუდგნენ და კიდეც გადაარჩინეს. სახლი დაზღვეული ყოფილა ქალაქის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში. ბ-ნ ფარს დანთვს ზარალი 500 თუმნისა მოსვლია.

✦ გუშინ, 13 ნოემბერს, მოხდა საჯარო ვაჭრობა ვერის ხიდს ზემოდ მდებარე ქალაქის მიწების გასაცემად ტივებისათვის. ეს ადგილები იჯარით უნდა გაიცეს 6 წლის ვადით. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო, სხვათა შორის, ტფილისის მცხოვრებმა ტრანკაშვილმა, რომელმაც ყველაზე მეტი საიჯარო ფული, 420 მან. შეაძლია გამგეობას წელიწადში. გამგეობამ ეს ვაჭრობა არ დაამტკიცა, რადგანაც ქალაქისათვის საზარალოდ სცნო და ვაჭრობა ხელმეორედ დანიშნა ორშაბათს, 18 ნოემბრისათვის.

✦ შაბათს, 16 ნოემბრისათვის, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვერისა, ავლაბრის, თათრის მოედნისა, დესიმონოვისა, შუა ბაზრისა და სხვა სასწორების იჯარით გასაცემად. ვაჭრობა დაიწყება ნაშუადღევის პირველ საათზე.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა განცხადება ქალაქის ქუჩების გამნათებელ აგენტისა განათებისათვის ფულის გადიდების შესახებ. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა გადასდოს ამ საქმისათვის 1000 მ., და შეიტანოს ეს ხარჯი 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

✦ გუბერნატორის განკარგულებით „საბავშვო ბაღი“, რომელიც მიხეილის ქუჩაზე მოთავსებული მადერის მამულში, უნდა ტეხნიკოსებმა დაათვალიერონ.

✦ წმ. სანთლის საეპარქიო ქარხანა სთხოვს ქალაქის გამგეობას, ნება მოგვეცით ალექსანდრეს ბაღში ბუდკა ავაგოთ წმ. სანთლით ვაჭრობისათვის.

რუსეთის ქრონიკა

✦ გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა, იღონოს რამ რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აზრადა აქვთ შეამცირონ სამუშაო დრო და გაადიდონ სამუშაო ფასი.

✦ გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტრო დაავალებს მომავალ სამოსწავლო სკოლების უფროსებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალ ენების სწავლებას. მოსწავლეთ ახალი ენები მარტო თეორიულად კი არა, პრაქტიკულადაც უნდა შეისწავლონ.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აზრა და აქვს 1903 წელს მეტი ფული გადასდოს იმ სასოფლო სამეურნეო კურსებისა და ლექციებისათვის, რომელიც სოფლის მასწავლებელთათვის იმართება.

✦ მთავრობამ სრულიად აღკრძალა საზღვარ გარეთიდან რუსეთში სათამაშო ქაღალდის შემოტანა.

✦ მალე პეტერბურგში თათბირი მოხდება ქალთა საკომერციო განათლების შესახებ. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ საკომერციო სასწავლებლების წარმომადგენელნი. სხვათა შორის, თათბირზე წაიკითხავენ საინტერესო მოხსენებას. მოხსენებაში საჭიროდ არის დანახული ქალთათვის განსაკუთრებულ სასწავლებლების დაარსება. სხვათა შორის, საჭიროა ქალებისათვის დაბალ და საშუალო სატეხნიკო-სამრეწველო სასწავლებლების დაარსება მთელს რუსეთში, დიდ ქალაქებს გარდა იმ დაბა-სოფლებშიაც-კი, სადაც ქარხნები და ფაბრიკები არსებობს.

✦ მთავრობამ გაადიდა ის თანხა, რომელიც განაპირა ადგილებში რუსთა გადასახლების საქმეს ხმარდება. წელს ამ საქმისათვის გადაიდო 98 ათასი; გაისს-კი გადაიდება 205,000 მანეთი.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებთან ამ რამდენისამე წლის წინად შეუდგნენ საემერიტო კასის დაარსებას. ამ აზრით მოხელეებს ჯამაგირიდან ფულს ურიცხავდნენ. შემდეგში ეს საქმე ველარ განხორციელდა, ამიტომ ფული უკანვე დააბრუნეს. ახლა ფოსტა და ტელეგრაფთა მთავარი გამგეობა აცხადებს, რომ ფულის უკან დაბრუნება უნდა დასრულდეს 1904 წლის 15 იანვრამდეო. ამიტომ შესაფერ დაწესებულებას უნდა მიჰმართონ იმ სამსახურს გარეშე მყოფმა მოხელეებმა ან იმათმა მემკვიდრეებმა, რომელთაც წინად კასისთვის ფული გამოერიცხათ ჯამაგირიდან.

✦ მთავრობამ დაამტკიცა წესდება რუს დრამატურგთა და მემუსიკეთა კავშირისა. ახალი კავშირი პირველ დეკემბერს დაიწყებს მოქმედებას.

✦ ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს დააწესოს განსაკუთრებული ინსპექცია პურის ვაჭრობის საქმისათვის. ინსპექციას თავისი წარმომადგენელნი ეყოლება ევროპის დიდ ბაზრებში.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო თხოულობს სუბსიდიას რუსეთის სათეატრო საზოგადოებისათვის. სულ სამინისტრო თხოულობს 10,000 მანეთს.

✦ აზრადა აქვთ სამხედროთათვის დამზღვევი კასსა დააარსონ და დაზღვევა სავალდებულო გაჰხადონ. იმ აფიცრებმა, რომელნიც 50 წლისანი ცოლს შეირთავენ, 2000 მანეთში უნდა დაიზღვევონ თავი.

✦ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „1902 წელს 29 აპრილს, ქ. ხარკოვში განიზრახეს მოკვლა ხარკოვის გუბერნატორის თავ. ობოლენსკისა. დამნაშავე—კიევის გუბერნიის სოფელ ლოზანოვსკის მცხოვრები, გლეხი თომა კორნეის ძე კაჩური იყო. როგორც გამოძიებამ დამტკიცა, ბრალდებულის ბოროტ-მოქმედებას პოლიტიკური განზრახვა ედო სარჩულად, ამიტომ, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, იგი საომარ დროის სამხედრო სამართალში იქმნა მიცემული. კიევის სამხედრო ოლქის სასამართლომ, 26 ოქტომბერს განიხილა რა ეს საქმე, გადაუწყვიტა თომა კაჩურს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და ჩამოხრჩობა. ამ განაჩენის გამო გუბერნატორმა თავადმა ობოლენსკიმ მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს მიართვა უქვეშევრდომილესი თხოვნა, რომელშიაც, თხოულობს რა კაჩურის შეწყალებას, სწერს: „მე, დედაჩემი, ცოლი და ორი ქალი ვბედავთ შევავედროთ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, მოწყალედ მოექცეს ამ კაცს და უბოძოთ სიცოცხლე. ღრმად გვრწამს, ხელმწიფევ, ერთად-ერთ ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ ჩემს გადარჩენას და იმავე ღმერთს ვევედრებით, რომ ეს მოწყალება თქვენის უდიდებულესობის ხელით თვით დამნაშავესაც მოევლინოს. დიდად სანანური იქმნება ჩემის ოჯახის წევრთათვის, თუ იმათი შვილი, მამა და ქმარი სხვის სიკვდილის მიზეზად შეიქმნება“. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ინება თავ. ობოლენსკის თხოვნის შეწყალება და უმაღლესად ბრძანა: „სიკვდილით დასჯა თომა კაჩურის შეეცვალოს სამუდამოდ კატორგაში გაგზავნით“.

პრესსა

„ნოვოსტი“ საჭიროდ სთვლის, ტფილისში პოლიტეხნიკუმი დაარსდესო. გაზეთი აღნიშნავს, რომ რუსეთის ყველა დიდ ქალაქს და ყველა განაპირა ადგილებს (ციმბირსაც კი) აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, მხოლოდ კავკასია, სადაც 10 მილიონ მცხოვრებზე მეტია, დღემდის მოკლებულია ამგვარ სასწავლებელსაო. გაზეთს ანორმალურად მიაჩნია ეს გარემოება, რადგან კავკასიის მდიდარი ბუნება, კავკასიის სიმდიდრენი თხოულობენ გამოკვლევასა, შესწავლასა და რიგიან ექსპლოატაციასაო.

ნავთის საქმესო, განაგრძობს გაზეთი, განვითარება და გაძლიერება მოელის. ნავთის წარმოება მარტო ბაქოში კი აღარ იქმნება, არამედ კავკასიის სხვა ადგილებშიაც. ეს გამოიწვევს მრავალ ქარხნების დაარსებას... გარდა ამისა, კავკასიაში მრავლად არის ქვა-ნახშირისა, რკინისა, სპილენძისა, მარგანეცისა და სხვა მადნები, რომელთა დამუშავება ძლიერ სუსტად სწარმოებს ჯერ-ჯერობით... ამიერ-კავკასიის ბუნება დიდსიმდიდრეს გვპირდება მეურნეობის მხრითაც; ძალიან განვითარდება, მაგალითად, ბამბისა და აბრეშუმის მრეწველობა, მებაღეობა და მეღვინეობა. დღეს კი სასოფლო-მეურნეობა ამიერ-კავკასიაში სუსტად არის განვითარებული სხვა-და-სხვა ხელ-შემშლელ მიზეზისა გამო.

მარტო ეკონომიური სარგებლობა რომ მივიღოთ მხედველობაშიო, ამბობს შემდეგ გაზეთი, ესეც კმარა იმის დამამტკიცებლად, რომ ტფილისს უთუოდ სჭირია პოლიტეხნიკუმი სამთო და სამეურნეო განყოფილებებითაო. მაგრამ, ამის მიუხედავად, იქ ჯერაც არ დაარსებულა ეს სასწავლებელიო, თუმცა ტფილისი კარგა ხანია თხოულობს და თანხაც საკმაო შეაგროვაო. გაზეთი აღნიშნავს, რომ დაარსების წინააღმდეგ უმთავრესად „პოლიტიკურ“ მიზეზს ასახელებენო, მაგრამ ამ მოსაზრების სიყალბე ყველასათვის ცხადი უნდა იყოსო.

არა რუსთათვის უმაღლესს სასწავლებელში შესვლის გაძნელება გამოიწვევს მათ დაშორებას რუსულ კულტურისაგან, რუსეთის საზოგადოებისაგან და შექმნის განცალკევებას, სწორედ იმ სეპარატიზმს, რომლისაც ასე ეშინიათ ცნობილ რეაქციონურ გაზეთებს. პრუსიის სისტემა პოლონეთში, ყველამ იცის, როგორის ენერგიით ავრცელებს გერმანიზაციას; მაგრამ პრუსიას არასოდეს არ მოსვლია თავში ისეთი უაზრობა, რომ განაპირა ადგილებს უარი უთხრას უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაზე. პირიქით, პრუსია ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ უმაღლესი სასწავლებელი საუკეთესო შემაერთებელია განაპირა ადგილების მკვიდრთა გერმანიის ხალხთან.

⁂

ჟურნალ-გაზეთები ბევრსა სწერენ სოფლის მასწავლებლის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ და უმთავრეს ყურადღებას აქცევენ მის ნივთიერ დაქვეითებას. ახლა გაზ. „ვესტნიკ ნოვგოროდსკ. ზემსტვა“ აღნიშნავს ამ მდგომარეობის მეორე მხარეს. სოფლის მასწავლებელი საცოდავია არა მარტო იმი-

---

სახვევი მოიგლიჯა და თავისუფლად შეისუნთქა ჰაერი. მას, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა, რადგან ჰგრძნობდა, რომ თავმოყვარეობა შეებლალა,—უარის იმედი სრულიად არა ჰქონდა,—არცა სჯეროდა, რომ მისმა მაღალ-ფარდოვან ოცნებებმა, გულის ლევამ და იმედმა ამისთანა სულელურ ბოლომდის მიიყვანეს, თითქოს მოქმედება სცენის მოყვარეთა სცენაზე სწარმოებულიყოს და არა ნამდვილ ცხოვრებაში. ამ ფიქრთან ერთად მან იგრძნო, რომ მას ენანებოდა თვისი გრძნობა, თვისი სიყვარული, ენანებოდა იმდენად, რომ მზად იყო მწარე ქვითინი ამოეშვა ან და აელო ქოლგა და მეეტლის განიერ მხარზე გადაემტვრია.

სამი დღე მეტი თავ-რეტ დასხმული დაიარებოდა, ველარაფერს ახერხებდა, არც სჭამდა, არც ეძინა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ეკატერინა ივანოვნა მოსკოვში გაემგზავრა კონსერვატორიაში შესასვლელადაო, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა და ისევ ძველებურად დაიწყო ცხოვრება.

შემდეგ-კი, როცა მოიგონებდა ხოლმე სასაფლაოზე მოგზაურობას და იმ დღეს, როცა გაფაციცებით დარბოდა ქალაქში ფრაკის სათხოვნელად, ზარმაცად გაიზმორებოდა და იტყოდა:

— მაინც რამდენი ვიმტვრიე თავი!

IV

კიდევ ოთხმა წელმა გაიარა. სტარცევს ქალაქში უკვე დიდი პრაქტიკა ჰქონდა. დილაობით ჯერ დიალიჟში მიიღებდა ხოლმე თავის ავადმყოფთ და მერე ქალაქში გაემგზავრებოდა, მაგრამ ეხლა ორი ცხენის ნაცვლად, ეღარუნებ შებმული და მორთულ-მოკაზმული სამი ცხენი დააქროლებდა ქუჩა-ქუჩა. შინ გათენებისას ჰბრუნდებოდა. სტარცევი შესამჩნევად დასრულდა და ძნელათ თუ გაჰბედავდა ფეხით სიარულს რადგან ბოლოს დროს გულის ფრიალი დასჩემდა. მეეტლეც გასქელდა, და რაც უფრო იზრდებოდა სიგანით, მით უფრო ნაღვლიანად ოხრავდა და თავის მწარე ხვედრს ემდურებოდა: ეტლით სიარულმა მომიღო ბოლოო.

სტარცევი ბევრ სახლში დაიარებოდა, ბევრი ოჯახი გაიცნო პრაქტიკის დროს, მაგრამ არც ერთს მათგანს არ უახლოვდებოდა. მოქალაქენი თავის შეხედულებებით ცხოვრებაზე, თვისი მსჯელობით და სჯა-ბაასით აბრაზებდნენ მას და მოთმინებიდან გამოჰყავდათ. გამოცდილებამ დაანახვა, რომ მოქალაქე, სანამ ბანქოს ეთამაშები ან საუბრობ მასთან, მშვიდობიანი, მეტად გულკეთილი და თითქმის ჭკვიანი ადამიანიც არის, მაგრამ საკმარისია სხვა საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი, საჭმელზე და სასმელზე კი არა, მაგალითად, პოლიტიკაზე ან მეცნიერებაზე, რომ უცბად შეჩერდეს სულელივით ან და ისეთი ფილოსოფია გააბას, რომ ხელი ჩაიქნიო და მოშორდე გულ-დაწყვეტილი. როდესაც სტარცევი რომელსამე ლიბერალს გამოელაპარაკებოდა, მაგალითად, იმის შესახებ, რომ მადლობა ღმერთს, კაცობრიობა წინ მიდის და შეიძლება ისეთი დროც მოვიდეს, რომ უპასპორტოთ ვცხოვრობდეთ და სიკვდილით დასჯაც გადავარდესო, მოქალაქე როგორღაც ურწმუნოდ გადაჰხედავდა და დაეკითხებოდა: „მაშასადამე, ყველას შეეძლება მაშინ ქუჩაში კაცის კვლა?“ და როცა ვახშმის ან ჩაის სმის დროს სტარცევი შრომის ქებას და მისი საჭიროების მტკიცებას დაიწყებდა, ყველას ეგონა, მე ვყავარ მხედველობაშიო, გაკაპასდებოდა და ბრაზმორეული შეეჯიბრებოდა. იმავე დროს კი მოქალაქენი სრულიად არაფერს აკეთებდნენ, არაფერი აინტერესებდათ და ვერ მიხვდებოდა კაცი, რა საგანზე შეიძლებოდა მათთან ლაპარაკი. სტარცევი, რასაკვირველია, ერიდებოდა მათთან ლაპარაკს და თუ შეხვდებოდა სადმე ოჯახში მათ, მაგიდას მიუჯდებოდა, ჩააცქერდებოდა მათლაფას და გაჩუმებული შეექცეოდა, ან და ბანქოს მაგიდას მიუჯდებოდა და „ვინტ“-ის თამაშში გაერთობოდა; ყველაფერი, რაზედაც მსჯელობდნენ მოქალაქენი, უსათუოდ ინტერესს მოკლებული, უსამართლო და სულელური უნდა ყოფილიყო. მის მსმენელ სტარცევს ბრაზი მოსდიოდა, ჰღელავდა, მაგრამ ხმაგაკმენდილი კი იჯდა. ამ სიჩუმისა და ცხვირის ჩამოშვების გულისთვის „გაფხვერილი პოლონელიც“ დაარქვეს მას, თუმცა სტარცევი პოლონელი არასოდეს არა ყოფილა.

თეატრსა და კონცერტებს და სხვა ამგვარ გასართობ ადგილებს ერიდებოდა, მაგრამ სანაცვლოდ „ვინტს“ კი ყოველ სიღამოს სამ-ოთხ-საათს გაბმით დიდის სიამოვნებით თამაშობდა. ერთი გასართობი კიდევ სხვა გაუჩნდა მას. ის თავისავე შეუმჩნევლად შეეჩვია—საღამოობით, მოვიდოდა თუ არა სახლში, ამოიღებდა სხვა-და-სხვა ჯიბეებში ჩაჩხირულ ქაღალდის ფულებს და სთვლიდა. მომეტებული ნაწილი ყვითელი ქაღალდები იყო ხოლმე, თუმცა მწვანე ქაღალდებიც შეხვდებოდნენ დრო-გამოშვებით. ზოგს ძმრის სუნი ასდიოდა, ზოგს საკმლისა, ზოგს თევზის ქონისა და ზოგს კი მშვენიერის ძვირფას „დუხების“ სუნიც. ისე დღე არ გავიდოდა, რომ შვიდ თუმნამდის არ აელო დღეში. როცა მოაგროვებდა რამდენიმე ას მანათს, „საკრედიტო“ საზოგადოებაში მიიტანდა და ჩააბარებდა.

კატოს წასვლის შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში სტარცევი სულ ორჯერ თუ სამჯერ იყო ტურკინებთან, ისიც ვერა იოსიფოვნას მიწვევით, რომელიც ისევ შაკიკს უჩიოდა. კატო ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა მშობლებთან, მაგრამ სტარცევს არც ერთხელ არ ენახა: როგორღაც ვერ შეხვდებოდნენ ხოლმე ერთმანერთს.

მაგრამ აგერ ოთხმა წელმა გაიარა. ერთ თბილ დილას საავადმყოფოში წერილი მოიტანეს. ვერა იოსიფოვნა სწერდა დიმიტრი იონიჩს—ძლიერ მომწყინდა უთქვენოდ ყოფნა, გთხოვთ როგორმე შემოიაროთ და შემიმსუბუქოთ ტანჯვანი, მით უმეტეს, რომ დღეს ჩემი დღეობაც არისო. ბარათს ქვეშ ეწერა: „მეც ვუერთდები დედი ჩემის თხოვნას. კ.“.

სტარცევი ჩაფიქრდა და საღამოზე ტურკინებისკენ გასწია.

— აა, გამარჯობა, თქვენი ჭირიმე!— მიეგება ღიმილით ივან პეტროვიჩი.

ვერა იოსიფოვნამ, რომელიც კარგად დაბერებულიყო უკვე და გაჭაღარავებულიყო, ხელი ჩამოართვა სტარცევს და ოხვრით წარმოსთქვა:

— თქვენ, ბ. ექიმო, როგორც გატყობთ, მოგწყინდათ ჩემი არშიყობა, დავბერდი და აღარ მოგწონვართ განა? მაგრამ აგერ ახალგაზდაც მოვიდა, იქნება ამას მაინც გაუღიმოს ბედმა.

კატო? კატო გამხდარიყო, ფერი დაჰკარგოდა, მაგრამ უფრო ლამაზად და მოყვანილად გამოიყურებოდა; ყველა ამ ცვლილებასთან ერთად ის კატო კი არა, ეკატერინე ივანოვნა იყო ეხლა; მასში ველარა ნახავდით სიქორფავეს და სახის ბავშურ გამომეტყველებას; მის მიხვრა-მოხვრაში რაღაცა იფარებოდა, რაღაც ახალი, გაუბედავი და ბოდიშის მომხდელი, თითქოს აქ, ტურკინების სახლში, ის უცხოსავითა ჰგრძნობს თავსაო.

ტომ, ამბობს გაზეთი, რომ ღარიბია, არამედ იმიტომაც, რომ

სულით მარტოა, მოკლებულია ზნეობრივსა და მეგობრულს დახმარებას ყოველ მოულოდნელ შემთხვევის დროს. მასწავლებელთა შეერთება, საამხანაგო ორგანიზაციის საჭიროების შეგნება შექმნის სწორედ იმ ძალას, რომელსაც თხოულობენ სწავლა-განათლების საქმის ინტერესები. ყველამ იცის, რომ დღევანდელი სოფელი აღარ კმაყოფილდება სოფლის დღევანდელ სკოლითა და მასწავლებლით. მას მეტი უნდა, ვიდრე უბრალო წერა-კითხვა, ის ეძებს განათლებას. გაჩნდა ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, სახალხო კითხვები, რაც გამოიწვია სოფლის ბუნებრივმა ზრდამ; თუ გვინდა, რომ ამ დაწესებულებებმა და ამ საქმემ მკვიდრი ნიადაგი მოიპოვონ სოფელში, საჭიროა ვიზრუნოთ იმ საშუალებათა გასაძლიერებლად, რომელთა მეოხებით შეიძლება დროის ახალ მოთხოვნილებათა განხორციელება. ერთად-ერთი მასწავლებელი ვერ გაუძლვება ამ დიად საქმეს: აქ საჭიროა მათის ძალების შეერთება, საჭიროა მათი შეკავშირებული მოქმედება. თუ აქამდის უბრალო წერა-კითხვის გავრცელებაც კი მოითხოვდა მასწავლებელთა ყრილობებს, მით უმეტეს ახლა, როდესაც სოფლის მოთხოვნილება გაიზარდა, საჭიროა მასწავლებელთა მჭიდრო ორგანიზაციის შექმნა.

ნახული და გაგონილი

(ხან წაკითხულიც)

VI

ერთი ახირებული ბიძაშვილი მყავს სოფელში. უსწავლელი კაცია, ე. ი. სკოლაში არ ყოფილა, მაგრამ ქართული წერა-კითხვა და რუსულიც უსწავლია როგორღაც, და არა თუ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რუსულსაც ჰკითხულობს. ეხლა ხან „ნოვოე ვრემია“-ს ერთი ნომერი წაუკითხავს, რასაკვირველია, სოფლურად—თავიდან ბოლომდე და შემდეგი წერილი მომწერა.

ყაჩაღობა პეტერბურგში

როგორც გაზეთ “ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომელი სწერს (ნახე № 9573, 28 ოქტომბერი), პეტერბურგში ცხოვრება მეტად საშიში ჰყოფილა. თუ არ გჯერა, მოვიყვან თვით პატივცემულ ავტორის სიტყვებს: „ხალხი დღე და ღამ ტალღასავით მიდი-მოდის ნევსკიზე და მის ახლო მდებარე ქუჩებზე... როგორც ძველად ვოლგაზე იყვნენ „მამაცი ყაჩაღები“, რომელნიც თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ვაჭრებსა და სხვა ხალხს, პეტერბურგის ხსენებულ ქუჩებზედაც იგივე ხდება ეხლა „ხულიგანების“ წყალობით. ამათ წეს-რიგზე მოწყობილი ბრბოები ჰყავთ და საჯაროდ დაეცემიან წინადვე აღნიშნულ მსხვერპლს. ერთ წუთზე გაძარცვავენ და თუ ვინმემ წინააღმდეგობა გაუწია, ფინურ დანით „ჩხვლეტენ“, ხან მძიმედ, ხან სუბუქად და ხან სასიკვდილოდ.

პოლიციის მოსვლისთანავე ხულიგანების ბრბო უცბად გაჰქრება რადგან ჩვენი (პეტერბურგის) ქუჩები მეტად ბნელია, მათი დაჭერა მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს. „ვასილიევის კუნძულზე„ და „პეტერბურგის მხარეზე“ კიდევ უარესი ამბები ხდება. აქ ხულიგანების თავგასულობას საზღვარი არა აქვს...“

„ხულიგანები დიდი უბედურება და საშინელი იარაა პეტერბურგისა და აქამდე არც ერთმა ღონისძიებამ არ გასჭრა მის წინააღმდეგ... არც სასტიკმა აკრძალვამ—ფინურ დანებს ნურავინ ატარებსო“.

ქალს ხომ სრულებით არ შეუძლია ქუჩებზე გავლაო, რადგან „ხულიგანებს“ გარდა სხვებიც კადრულობენ მათ შეურაცხყოფასო.

ერთის სიტყვით, მდგომარეობა აუტანელი ყოფილა პეტერბურგში. როგორც ავტორი ამბობს, ჯერ არც ერთი ღონისძიება არ აურჩევიათ, რომელსაც „ნოვ. ვრ.“ სხვებისთვის იმეტებს ხოლმე. ამიტომ აზრად მომივიდა შემდეგი წინადადება მივსცე „ნოვოე ვრემია“-ს (რუსულად ეს წერილი შენ გადამითარგმნე; არ მეხერხება რუსულად წერა)—ეცადოს, რომ პეტერბურგში „მოხელეებად სულ გერმანელები დანიშნონ, სამოქალაქო სასამართლოები მოსპონ, იმ ქუჩების მცხოვრებნი, სადაც ხულიგანები მოღვაწეობენ, ნივთიერად პასუხის მგებელი გახადონ და სხვა.

დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ღონისძიებანი უებრო წამალი იქნება ხულიგანების წინააღმდეგ.

ნუ დაიზარებ, გადამითარგმნე ეს წერილი და „ნოვოე ვრემია“-ს რედაქციას გაუგზავნე.

—

მართლა რომ ავუსრულო ეს ახირებული თხოვნა ჩემ ახირებულ ბიძაშვილს, ნეტავ რას იტყვის „ნოვოე ვრემია“? წარბსაც არ შეიხრის და თუ დასჭირდა, რამდენჯერმე კიდევ მოითხოვს, (როგორც არა ერთხელ უქნია) ქართველების ჩრდილოეთისაკენ გადასახლებას და მათ მაგიერ რუსების გადმოსახლებას: სხვაფრივ კავკასიაში ავაზაკობა არ მოისპობაო.

პეტერბურგი და მოსკოვი სხვაა. იქ ხომ ქართველები არ სახლობენ.

**

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

12 ნოემბერს სამეურნეო საზოგადოებამ თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, განაგრძო განხილვა გ. დ. ჟურულის მოხსენების კოოპერატიულ დაწესებულებათა დაარსების შესახებ. როგორც 5 ნოემბერს, ამ დღესაც მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. კარგა ხანს ილაპარაკა მოხსენების გამო ბ-ნმა თოფურიძემ. ორატორმა ორ ნაწილად გაჰყო მოხსენება: პირველში შეეხო იმას, თუ რამდენადა აქვს ნიადაგი კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებას სოფლის წვრილ მეურნეთა შორის. ამ მოსაზრების წინააღმდეგ ბ-ნმა თოფურიძემ მოიყვანა მეცნიერთა გამოკვლევათაგან სტატისტიკური ცნობები გერმანიისა, საფრანგეთისა და ბელგიის სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებიდან ჯერ შეეხო გერმანიას, შემდეგ საფრანგეთს, და ბოლოს ბელგიას. ორატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მეცნიერთა გამოკვლევით აღნიშნულ სახელმწიფოების სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა ნაირად იცვლება მიწათ-მფლობელობის საქმე. ზოგგან, სადაც მრეწველობა მეტად გავრცელებულია და წვრილ მეურნეს მცირე მიწის შემოსავალი არ ჰყოფნის, იგი იძულებული ხდება თან და-თან მიატოვოს ადგილი და ქარხნებში წავიდეს სამუშაოდ დატოვებულ მიწებს იძენს ფულიანი ხალხი, და ნელ-ნელა წვრილ მეურნეთა ნაცვლად მთელი რაიონების პატრონი ხდება დიდი კაპიტალისტი. ზოგგან კიდევ მსხვილი მიწათ-მფლობელობა ნელ-ნელა იშლება და ადგილი გადადის საშუალო ან წვრილ მეურნეთა ხელში. ამნაირ მფლობელობის ცვალებადობის დროს თუ შესწავლილი არ იქმნება ისტორიულად და ზედ მიწევნით ცხოვრების პირობებისაგან გამოწვეული ეს კარემოებები, შეუძლებელია საშუალების მძებნელმა ისეთი რამ ხელჩასაჭიდებელი ღონისძიება ჰპოვოს, რომ იმის განხორციელებით წვრილს მეურნეს ეშველოს რამე და მით მან თავი დააღწიოს კაპიტალისტის მონობას. ჩემის აზრით საუკეთესო იქნება. მთელ რაიონების წვრილი მეურნენი შეერთდნენ; იმათ უნდა გაიჩინონ მანქანების საერთო საწყობები, მოაწყონ თესლის მიწოდების საქმე მეურნეებზე და სხვა. ამ შემთხვევაში მეურნენი საქმეს პირდაპირ მომხმარებელთან დაიჭერენ და თან-და-თან მოიშორებენ შუამავალს-გაჭარს. ამ მხრით თუ შევხედავთ საქმეს, საჭირო იქნება კრედიტის მიწოდება, ხელმძღვანელობა საუკეთესო იარაღების შესაძენად და სხვა. მეორე ნაწილი ბ-ნ ჟურულის მოხსენებისა, განაგრძო თოფურიძემ, უფრო საყურადღებოა, მხოლოდ არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ მომხსენებელი არა სცდილა, სხვა მხრით შეესწავლა ევროპის კოოპერატიული ამხანაგობანი. მარტო ის არა კმარა გვითქვათ, რომ ევროპაში ამდენი და იმდენი ამხანაგობა არსებობს. საჭიროა განმარტება, როგორ სცხოვრობენ დღეს ეს ამხანაგობანი, რამდენს სარგებლობას აძლევენ წევრთ, მომავალში რას მისცემენ წვრილ მეურნეთ და სხვა. ამ მხრით რომ შევხედოთ საქმეს, მაშინ შეიძლება შეუმცდარ ნიადაგზე დავდგეთ და გადაწყვეტით ვსთქვათ, რომ წვრილ მეურნეს გაჭირვებულ ცხოვრებიდან იხსნის ამა და ამ დაწესებულების შექმნაო. ჩემის აზრით საკითხი ასე უნდა იქნეს დაყენებული: რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ წვრილმა მეურნემ შესძლოს ბრძოლა მსხვილ მეურნესთან?

თავ. პ. გრუზინსკი. ბ-ნი თოფურიძე იმ აზრისაა, რომ კოოპერატიულ დაწესებულებებს არ შეუძლიანთ იხსნან წვრილი მეურნე გაჭირვებისაგან. მაშ თოფურიძემ გვირჩიოს, რა საშუალებაა საჭირო. რომ წვრილ მეურნეთ დახმარება გაუწიოთ და დღევანდელ ცხოვრების პირობებისაგან ვიხსნათ?

ბ. თოფურიძე. ეგ საკითხი სპეციალურია, მე მაგაზე გიპასუხებდით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენის ქვეყნის ცხოვრება ზედ მიწევნით შესწავლილი გვექნება და, რომ გვცოდნოდა წვრილ მეურნეთა მდგომარეობის აგ-კარგი. რამდენადაც ჩვენი ცხოვრება ვიცი, წვრილ მეურნეთა დახმარება შეიძლება ისეთის კოოპერატიულ დაწესებულებებით, რომელიც მეურნეს მიაწვდის კრედიტს, სამუშაო იარაღს, თესლეულობას და სხვას.

ა. ნატროშვილი. კოოპერატიულ დაწესებულებათა შექმნა საჭიროა ჩვენში, რომ მწარმოებელმა და მომხმარებელმა თავიდან მოიშორონ ის ჩარჩი-შუამავალი, რომელიც ერთსაც და მეორესაც ატყუებს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ შეუძლებელია ჩვენში ასეთ ამხანაგობათა არსებობა დღევანდელს პირობებში, რადგანაც არაგვყავს საჭირო ხალხი სოფლად არა გვაქვს კრედიტი. ვიდრე ყოველივე ესები არ გვექნება და ყველა მწარმოებელნი, მაგ., მეაბრეშუმენი, მეცხვარენი, მეთამბაქოენი, არ შეერთდებიან და არ შეუდგებიან ბრძოლას, შეუძლებელია ჩარჩის მოშორება და კაპიტალისტებისაგან თავის დახწევა.

მელიქ-ბეგლაროვი. თანახმაა ბ-ნ ნატროშვილის მოსაზრებებისა. სთქვა: უთუოდ შეუძლებელია სომხისა და მალაკანის სამოქმედოდ შეერთება, სუნიტისა და შიიტებთან და სხვა. ჩვენს დროში ცოდნათა ბრძოლა კი არა, კაპიტალის ბრძოლაა გამეფებული. ბ-ნ ჟურულის მოხსენება ოცნებაა და მეტი არაფერი.

ი. ქუთათელაძე. ძალიან შემცდარნი არიან ისინი, რომელნიც ბრძანებენ ჩვენში კოოპერატიულ ამხანაგობათ ნიადაგი არა აქვთო. ცხოვრების მოთხოვნილებამ კარგა ხნის წამოაყენა ასეთ დაწესებულებათა საჭიროება და დღეს რუსეთის შიდა გუბერნიებში 50-მდე, ხოლო ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში 15-მდი ასეთი ამხანაგობანი არსებობენ. თუ ნიადაგი არ

— ღმერთო, რამდენი ხანია არ მინახავხართ!—უთხრა კატომ სტარცევს, როცა ხელი ჩამოართვა. ეტყობოდა ქალს გული უცახცახებდა და თვალებში ჩაშტერებით განაგრძო:—როგორ დასრულებულხართ! მზე მოგკიდებიათ, დავაჟკაცებულხართ, მაგრამ საერთოდ კი ძალიან ნაკლებად გამოცვლილხართ.

ეხლაც მოსწონდა სტარცევს კატო, მაგრამ რაღაც ენაკლისებოდა მასში თუ მეტს ჰხედავდა, თითონაც ვერ გადაეწყვიტა, მხოლოდ ეს კი იყო, რომ რაღაც უზღუდავდა უწინდელ გრძნობებს. მას არც მისი მკრთალი ფერი მოსწონდა, არც მისი ახალი გამომეტყველება, სუსტი ღიმი სახეზე, ხმა და ცოტა ხნის შემდეგ არც ტანთსაცმელი მისი და ასე გასინჯეთ—სავარძელიც კი, რომელშიაც ის იმ ჟამად იჯდა. მან მოიგონა თვისი უწინდელი გრძნობები მისდამი, სიყვარული, ოცნებები და გაცრუებული იმედი, რომელნიც ისე საოცრად აღელვებდნენ მას და შერცხვა, შერცხვა თავის საკუთარის წარსულისა.

ჩაის სანუკვარები მოაყოლეს. მერე ვერა იოსიფოვნა თავის ახალის რომანის კითხვას მოჰყვა,—ჰკითხულობდა იმას, რასაც ვერასოდეს ვერ შეხვდებით ცხოვრებაში. სტარცევი ყურს უგდებდა, უყურებდა მის ჭაღარა ლამაზ თავს და სულ იმის ფიქრში იყო, როდის გაათავებს ამ მომაბეზრებელ რომანის კითხვასაო?

„უნიჭო ის კი არ არის, ვინც მოთხრობებს ვერა სწერს,—ჰფიქრობდა ექიმი,—უნიჭო ის არის, ვინც სწერს და კი ვერ ჰმალავს თავის ნაწერს“.

— კარგია,—სთქვა ჩვეულებრივ ივან პეტროვიჩმა.

მერე კატო მიუჯდა როიალს და დიდი ხანი უკრავდა, გათავებისას ყველა მადლობას უხდიდა ალტაცებული.

„რა კარგად მომივიდა, რომ ჯვარი არ დავიწერე ამაზე“,—გაიფიქრა სტარცევმა.

ქალი უყურებდა მას და, როგორც ეტყობოდა, ელოდა, როდის იქნება ბაღში გამიწვიოსო, მაგრამ ექიმი იჯდა აკლდამასავით და არაფერს ამბობდა.

— მოდით, ვილაპარაკოთ,—უთხრა ქალმა და მიუახლოვდა ექიმს:—როგორა სცხოვრობთ? რა გაინტერესებთ? რითი ხართ ეხლა გართული? ეს უკანასკნელი დღეები სულ თქვენზე ვფიქრობდა,—ამბობდა ქალი შეშფოთებული:—მინდოდა წერილი მომეწერა, მე თითონაც ვაპირებდი თქვენთან ჩამოსვლას, მაგრამ მერე გადავიფიქრე—ვინ იცის ეხლა როგორ მიყურებთ? მოუთმენლად მოგელოდით დღეს. თუ ღმერთი გწამთ, გავიდეთ ბაღში.

გავიდნენ და სწორედ იმ სკამზე ჩამოსხდნენ, რომელზედაც ამ ოთხი წლის წინად ისხდნენ. ბაღში ბნელოდა.

— როგორა სცხოვრობთ?—დაეკითხა ეკატერინა ივანოვნა.

— არა მიშავსრა, ვცხოვრობთ როგორც არის—მიუგო სტარცევმა და სხვა ვერაფერი მოიგონა-რა სათქმელი. სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე ვღელავ,—სთქვა კატომ და ხელები მიიფარა სახეზე:—მე ვღელავ და თქვენ კი ყურადღებას არ მაქცევთ. მე ისე კარგათა ვგრძნობ თავს სახლში, ისე მიხარიან, როცა ყველას გხედავთ, რომ ვერ შევეჩვევივარ ყველა ამას. ღმერთო, რამდენი მოგონებანი მისევენ თავსა! მე მეგონა გათენებამდინ ვილაპარაკებთ და მაინც ვერ გამოვლევთ სალაპარაკო მასალა-მეთქი, შევცდი.

ეხლა აქ სტარცევი უფრო ახლო ჰხედავდა მის სახეს, მის მბრჭყინავ თვალებს და აქ, ბაღის სიბნელეში, უფრო ყმაწვილად ეჩვენებოდა, ვიდრე ოთახში; ერთ გზის თითქოს დაუბრუნდა კიდეც ძველი ბავშური უმანკო გამომეტყველება. მართლადაც ბავშურის ცნობის-მოყვარეობით შესცქეროდა, თითქოს სცდილობს გაიგოს, რა კაცია ის, ვისაც ერთ დროს ისე გატაცებით ვუყვარდიო; მისი თვალები მადლობას ეუბნებოდნენ მას იმ წმინდა გრძნობისათვის. სტარცევს მოაგონდა ყველა, რაც კი გადახდა ამ ოთხი წლის წინად, როგორ დადიოდა სასაფლაოზე, მერე დაღალულ-დაქანცული როგორ მოვიდა გათენებისას სახლში, მოაგონდა ყველა ეს და დანანდა თავისი ძველი სიყვარული. გული აუჩუყდა.

— გახსოვთ კლუბში რომ გაგაცილეთ?—ძლივს მოახერხა სტარცევმა:— წვიმა მოდიოდა და საშინლად ბნელოდა...

გულში რაღაც ცეცხლი ულვივდებოდა და უნდოდა შეეჩივლა თვისი ცხოვრება.

— ეხ!—ამოიოხრა ექიმმა:—თქვენ მეკითხებით როგორა სცხოვრობთო. როგორ უნდა ვიცხოვროთ აქა? ვბერდებით, ვსქელდებით და ვეჩავდებით. დღე დღეს მისდევს, ღამე ღამეს, მირბის დრო და თან ჩვენი ცხოვრებაც მისდევს უაზროთ, უმიზნოთ, უშთაბეჭდილებოთ... დღე ფულის მოგება, ღამე კლუბი, ყომარბაზების და ლოთების საზოგადოება, რომელიც მძულს, მძულს ძლიერ, მაგრამ მაინც ძალა-უნებურათ ვიმყოფები მასში. რა უნდა იყოს აქ კარგი?

— ეგ კი, მაგრამ თქვენ კეთილშობილური საქმე გაქვთ და პატიოსანი მიზანი. მახსოვს, თქვენ ისეთის სიყვარულითა და გატაცებით ლაპარაკობდით ხოლმე თქვენს ავადმყოფებზე და სავაადმყოფოებზე! მე მაშინ ბავშვი ვიყავ, არაფერი მესმოდა, ჩემ თავს მუსიკის უდიდეს მცოდნედ ვიგულებდი. ჩვენ დროს ყველა გასათხოვარი ქალი უკრავს როიალზე, მეც ჩვეულებრივ ქალებს ვეკუთვნოდი; მეც ისეთივე მცოდნე ვარ მუსიკისა, როგორიც დედა ჩემია. მე მაშინ ვერ გიცანით თქვენა, ვერ მიგიხვდით სურვილებსა და გრძნობებს, მაგრამ მას შემდეგ, მოსკოვში ყოფნის დროს, ბევრჯერ მოგიგონეთ და ბევრი ვიფიქრე თქვენზე. მე მხოლოდ თქვენზე ვფიქრობდი. ღმერთო, რა ბედნიერებაა კაცისთვის თქვენსავით ექიმი იყოს, სოფელში უმსუბუქებდეს ხალხს ტანჯვას და ემსახურებოდეს მათ. რა დიდი ბედნიერებაა, ღმერთო!—გაიმეორა გატაცებით ეკატერინა ივანოვნამ:—როცა ვფიქრობდი თქვენზე მოსკოვში, ისეთ იდეალურ კაცად მესახებოდით, რომ თქვენი თანასწორი აღარავინ მეგულებოდა...

სტარცევს მოაგონდა საღამოობით ფულებს რომ იღებდა ჯიბიდან, გატაცებით სთვლიდა და სიყვარულით ასწორებდა, მოაგონდა და ჩაუქრა გულში ის ახლად გაღვიძებული ცეცხლიც.

ექიმი წამოდგა და სახლისკენ გასწია. ქალმა ხელი ხელში გაუყარა და გაჰყვა.

— თქვენ სულყველაზე უმშვენიერესი ადამიანი ხართ, ყველაზე, ვისაც კი მე როდისმე ვიცნობდი,—განაგრძო ქალმა:—ჩვენ შევხვდებით კიდევ ერთმანეთს და ვილაპარაკებთ ხოლმე, არა? მითხარით, მომეცით სიტყვა, რომ თავს არ ამარიდებთ. მე მემუსიკე არა ვარ, ამაში დავრწმუნდი და არასოდეს აღარც დავუკრავ თქვენთან როიალზე და არც ვილაპარაკებ მუსიკაზე.

სახლში რომ შევიდნენ და სტარცევმა დაინახა მისი დაღვრემილი მაგრამ მელური და ცნობის-მოყვარეობის გამომეტყველი თვალები, რაღაც უსიამოვნება იგრძნო გულში და გაიფიქრა:

იყოს, საიდან გაჩნდნენ ეს დაწესებულებანი? განა ხელოვნურად მათი შექმნა შეგვიძლიან? მაგალითად დავასახელებ ხონის მეაბრეშუმეთა ამხანაგობას, რომელსაც 2000 წევრი ჰყავს დღეს და ნახევარ მილიონზე მეტი წარმოება აქვს. ამ ამხანაგობამ რამდენიმე წლიწადში ევროპაში ბაზარი მოიპოვა. ასეთ ამხანაგობათა ნიადაგი არის, საჭიროა მხოლოდ მოუპოვოთ მათ იურიდიული უფლებანი და დახმარება მივცეთ იაფის კრედიტით. მე თანახმა ვარ ჟურულის მოსაზრებებისა, მხოლოდ უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი სამეურნეო საზოგადოება ხელმძღვანელობას ვერ იკისრებს. მომავალს დეკემბერში მოხდება მთელის კავკასიის ამხანაგობათა წარმომადგენელების კრება სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. სხვათა შორის ამ კრებაზე განზრახვა აქვთ დაასარსონ ისეთი კავშირი, რომელმაც იკისროს ამხანაგობათა დახელოვნება, მათი ხელმძღვანელობა და სხვა. უკეთესი იქნება ამხანაგობათა საბჭოში ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას თვისი წარმომადგენელი ჰყავდეს.

(დასასრული იქნება)

თეატრი

დღეს, 14 ნოემბრისათვის, ქართულ თეატრში, ნიჭიერ მსახიობ-ქალის **ნინა ჩხეიძის მონაწილეობით,** ქართული წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ საინტერესო პიესას „მუშაკი და ნებიერი"-ს. მონაწილეობას ამ წარმოდგენაში მთელი დასი იღებს.

—

შაბათს, 16 ნოემბერს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზედ, სცენის მოყვარეთა მიერ. ბ-ნ ვ. გამყრელიძის რეჟისორობით, **წარმოდგენილი იქნება** მელოდრამა „პარიზის ღარიბ-ღატაკნი".

—

ქართული საღამო მოსკოვში. როგორც წინად, წელსაც ქართველ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ სამ ნოემბერს გაიმართა მოსკოვში „ქართული საღამო". საზოგადოება ბლომად დაესწრო. საღამო დაიწყო ქართულ ხალხური სიმღერებით. იმღერეს: „ფაცხა", „ოქროს დიელო", „ფერხული", „მაყრული", „ინდი მინდი" და „გოგონა". ხოროს ლოტბარობდა ბ-ნი ფალიაშვილი. ხოროში, სამი-ოთხი კაცის გარდა, რუსი-სტუდენტები იყვნენ. იგი რიგიანად იყო მომზადებული და კიდევაც მიიქცია დამსწრე საზოგადოების ყურადღება. რამდენიმე სიმღერა გაამეორებინა საზოგადოებამ. სიმღერების შემდეგ თავ. სუმბათაშვილმა (იუჟინმა) წაიკითხა ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან (რუსულად ნათარგმნი ბ-ნ ხახანაშვილის მიერ) „მთის წყარო". მშვენივრად ნათარგმნმა და ხელოვნურად წაკითხულმა თხზულებამ დამსწრე საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა. თავ. სუმბათაშვილს აღტაცებით მიეგება საზოგადოება და ხანგრძლივის ტაშის ცემითა და „ვაშას" ძახილით დააჯილდოვა. ხალხი აღტაცებით მიეგება სხვა მომღერალთა და წამკითხველთაც. დასასრულ ძალიან მოხდენილად ითამაშეს ლეკური. დიდის მადლობის ღირსია თავ. სუმბათაშვილი, რომელიც გამგეობდა საღამოს. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ბ-ნი ფალიაშვილი და ტფილისელების ნაცნობი ტერიან-ყორღანოვისა, რომელმაც აგრეთვე მიიღო მონაწილეობა საღამოში. წმინდა მოგება 1500 მანეთამდე დარჩა.

ს. წერეთელი

—

ქუთაისი. კვირას, 10 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში, ქუთათურმა მსახიობებმა გ. ბალანჩივაძის გამგეობით და სცენის მოყვარეთა დახმარებით, წარმოადგინეს აკაკის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „პატარა კახი" და ვოდევილი „ახორებულია, ანუ ცოლი ორის დღით". პირველმა საზოგადოდ სუსტად ჩაიარა. არც ერთმა მოთამაშემ ხეირიანად როლი არ იცოდა, ამის გამო სუფლიორი იძულებული იყო მთელის საზოგადოების გასაგონად ეყვირა. ლექსს ისე ჰკითხულობდნენ, როგორც სხვისი მოიმედე ზარმაცი მოწაფე, რომელიც გაუბედავად მასწავლებელს მისჩერებია და ცალი ყური კი ამხანაგის ტუჩისთვის მიუშვერია. მისდევდნენ რითმას და არა აზრს; ყანას ჭავრში ჯოხებით თოხნიდნენ, „მტერზე კი თოხებით მივიდნენ იერიშით" (ალბად მერე თუ იშოვეს თოხები). უკანასკნელი, მართლაც დრამატიული სცენა, ისე უფერულად ჩაატარეს, რომ მას დრამის ნასახი არა მოიპოვებოდა-რა. მხოლოდ ბ-ნმა ბალანჩივაძემ (მოხუცი გელა) და დ. ჩარკვიანმა (პატარა კახი) გვარიანად შეასრულეს როლები, არც ბ-ნი ანაშიძე იყო ცუდი, როგორც სცენის მოყვარე. დანარჩენების შესახებ კი ცალკ-ცალკე არას ვიტყვი, რადგან... ცხენი არა მყავს შეკაზმული.

დრამამ სუსტად ჩაიარა, სამაგიეროდ ვოდევილი კარგი იყო. ბ-ნმა ბალანჩივაძემ მშვენივრად შეასრულა დორმიდონტ ანტიპიჩ მარდაშოვის როლი. კარგად ითამაშა აგრეთვე ბ-ნმა შველიძემ. ანსამბლი არც სხვებს წაუხდენიათ. ქ-ნებს ფარცვანიძესა და ჩიქოვანს ნიჭი ეტყობათ.

თუმცა ადგილების ფასი შედარებით ძლიერ დაკლებული იყო, მაგრამ ვერც ამან უშველა ჩვენს გულცივ საზოგადოებას და ვერ მოაცილა კლუბსა და სასტუმროებს: პირველ ორ მოქმედებას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, ნამეტურ ქვევით; სამაგიეროდ მეორე მოქმედების შემდეგ რაღაც მანქანების წყალობით მთლად გაივსო თეატრი, და, ვისაც ბილეთში კაპეიკი არ დაუხარჯავს, მდივანბეგივით პირველ წრეში გამოიჭიმა. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

დონ-ჟალიანი

წერილი ლეჩხუმიდან

(მგზავრის შენიშვნები)

საზოგადოდ ლეჩხუმში ცხოვრების ყოველს მხარეს მოუწყობლობისა და უკულტურობის ბეჭედი აზის; მაგრამ ყველაზე უფრო პატრიარქალობა და ძველებური ჩვენებური წესები მეფობენ იმ გზაზე, რომელიც მიდის ქუთაისიდან ლეჩხუმამდე და რომელიც არის ნაწილი სამხედრო ოსეთის საფოსტო გზისა. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ამ გზის სადგურების გამგეებისა და მეეტლეების ის თავისებური და განსაკუთრებული შეხედულობა, რომლის ძალითაც „უკაკარდო" და „ულეკურო" (ეს იარაღი აქ თავად-აზნაურობის პრივილეგიაა) მგზავრი ყოველ-გვარ უფლებასა და ადამიანობას მოკლებულ არსებას წარმოადგენს. ყოველი მგზავრი, რომლისთვისაც ბედს ურგუნებია ამ გზით მგზავრობა, თუ იგი უბრალო მომაკვდავია, ესე იგი, თუ იმის თავს არ ამშვენებს კაკარდიანი ქუდი, ან იმის მხარ-წელს არ ამკობს ლეკური, გაბედულია დაუტევოს ყოველივე თვისი „გულის თქმა" და თავის-კანონიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ხმა არ ამოიღოს ყოვლად ძლიერისა და მრისხანე „ლინეიკების მეპატრონებისა, კუჩრებისა და მიკიტნებისა". ეს ვაჟბატონები ლინეიკის ერთ მხარეს, სადაც სამის კაცის ადგილია, ოთხ ხუთ კაცს ათავსებენ. სამაგალითოდ „კაკარდოსან-ლეკუროსანთათვის" კარგი ხალვათობაა ხოლმე. თუ „უბრალო მომაკვდავი" გაბედნიერდა იმათ გვერდით ჯდომით, იმას „მელინეიკე" უცხადებს: „კნიაზი არ შეაწუხოო". ხოლო „კნიაზის არ შეწუხება" კი ამას მოასწავებს, რომ, რაც შეიძლება, უნდა მოიკუმშო, მოიწკმუტო და ერთ ადგილას მიეწებო განუმძრევლად. ამ მშვენიერებას დაუმატეთ კიდევ ის უმშვენიერესობა, რომ ნახევარჯერ უნდა უქვეითოდ და ხან-და-ხან ცხენების თანამშრომლობაც გასწიოთ. ეს კიდევ არაფერი, თქვენი შორი წადილს ათ-თხუთმეტი ვერსიან აღმართის ფეხით გავლამ, მაგრამ ეს ჭაპან-წყვეტა ამშვენებს ადამიანს და თქვენც ესწრაფვებით მალე დაიკმაყოფილოთ აუცილებელი მოთხოვნილება. აი გამოჩნდა სადგური, მიეშურებით დუქნისაკენ ცოტა დასანაყრებლად; მაგრამ თურმე ნუ იტყვით, თქვენი მადის და კუჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეც კუჩრის სურვილზე ყოფილა დამოკიდებული, რომელიც მრისხანედ აცხადებს: „აქ არ შეიძლება გაჩერება, თქვენ გადღებული ხართ უთუოდ „ტვიშში" ისადილეთო". სამწუხაროდ ტვიშშიაც ვერ იკმაყოფილებთ მოთხოვნილებას: თხოულობთ საჭმელს, მაგრამ დახეთ უიღბლობას, მოაქვთ რაღაც მსგავსება პურისა და ხორცისა, რომელიც არხეოლოგიურ ნაშთად უფრო გამოდგება, ვინემ საჭმელად.

ასეთი თვითნებობა მეფობს ამ გზაზე. ლეჩხუმელისთვის ყოველივე, რასაკვირველია, არ ახალია—ძველია, მაგრამ, როცა უცხო-შეუჩვეველ კაცს პირველად უხდება მგზავრობა, საშინლად ბრაზდება და რომაელ პოეტთან ერთად იძახის «O tempora, o mores»,

დ. ანდრონიძე

უცხოეთის წვრილი ამბები

—

რიხარდ ვაგნერი და რიცხვი 13. ბევრი ცრუ-მორწმუნეობით უყურებს რიცხვს 13-ს და ერიდება ამ რიცხვში რომელისამე საქმის ხელის მოკიდებას. ინგლისში ცნობილი კრიტიკოსი გეტსი მოგვითხრობს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ამ რიცხვს გამოჩენილ მემუსიკე რიხარდ ვაგნერის ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, როცა ვაგნერს ძალიან ეშინოდა თურმე რიცხვი 13-ისა და სულ სიკვდილზე ჰფიქრობდა, იმიტომ რომ იმის სახელსა და გვარში ცამეტი ასოა, დაიბადა 1813 წელს და ამ რიცხვის ნიშნებიც რომ ერთი მეორეზე შევაკეცოთ, სწორედ რიცხვი ცამეტი გამოდის.

ერთხელ თავისს სიძესთან, ბროკჰაუზთან, სადილად ყოფილა ვაგნერი. ყველას შეენიშნა, რომ ვაგნერი გარეტიანებულივით იჯდა და დიდ ხანს ხმას ვერ იღებდა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ სუფრაზე 13 კაცი მჯდარა და ამას უმოქმედნია ასე ცუდად.

როცა ოპერა „ტანჰეიზერი" პირველად წარმოადგინეს პარიზში, ვაგნერს თავისს დისათვის მიუწერია: „წარმოიდგინე, ჩემო ძვირფასო ცილი, როგორ მოეწონებოდა ხალხს ჩემი ნაწარმოები, როცა უბედური რიცხვი 13 კიდევ [illegible]თან მდევს ყოველს ნაბიჯზე. [illegible] როცა [illegible] ამ ოპერის უკანასკნელი ნოტი დავსწერე და ქვევით იმ დღის რიცხვი მოვაწერე, გაოცებით შევნიშნე, რომ ეს 13 აპრილი იყო. იმ წამსვე ვუთხარი ჩემ თავს: აქედან ხეირი არა იქმნება რა-მეთქი. ბევრჯელ გადადვეს ოპერის წარმოდგენა, ბოლოს, როგორც იყო, ყოველივე დაბრკოლება ვსძლიეთ და დაჰნიშნეს პირველი წარმოდგენა. მერე რომელი რიცხვი შეჰხვდა, იცი?—აი, ეშმაკებმა წაიღოს ყველა კალენდარი!—კიდევ ის უბედური რიცხვი გამოვიდა (13 მარტი 1861 წ)".

რიხარდ ვაგნერი გარდაიცვალა 13 თებერვალს 1883 წელსა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ნოემბერი

ლონდონი. ჯერალდ ბალფურმა დეპუტატთა პალატას შემდეგი წინადადება წარუდგინა:

„რა კარგი მომივიდა, რომ ჯვარი არ დავიწერე ამაზე".

ექიმმა გამოთხოვება დაიწყო.

— თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ, უვახშმოთ წახვიდეთ,—ეუბნებოდა ივან პეტროვიჩი გაცილების დროს:—ეს მეტის მეტია თქვენის მხრით. აბა გამოიჩინე თავი! მოუბრუნდა პავლეს, როცა დერეფანში გავიდა.

— მოკვდი, შე ურჯულო!—შესძახა პავლემ.

ყველა ეს ბრაზსა ჰგვრიდა სტარცევს. როცა ეტლში ჩაჯდა და გადახედა ჩამობნელებულ სახლსა და ბაღს, რომელნიც ერთ დროს უძვირფასეს განძად მიაჩნდა, ყველაფერი უცბათ მოაგონდა და გაუცხოვლდა—ვერა იოსიფოვნას რომანებიც, კატოს მუსიკაც, ივან პეტროვიჩის ოხუნჯობა და პავლეს ტრაღიკული პოზა და შეძახებაც. მოაგონდა ყველა ეს და გაიფიქრა—თუ ყველაზე ინტელიგენტი და ნიჭიერი ოჯახი ასეთია, როგორები უნდა იყვნენ სხვები და რა ცხოვრება უნდა იყვეს ამისთანა ქალაქში.

სამი დღის შემდეგ პავლემ ეკატერინა ივანოვნას წერილი მიუტანა სტარცევს.

„რატომ აღარ დაიარებით ჩვენთან?—ეკითხებოდა კატო წერილში,—ვშიშობ, რომ ჩვენ შორის განწყობილება შეიცვალა. ერთი მოგონებაც კი ამისა შიშის ზარსა მცემს. დამამშვიდეთ, მოდით და გამახარეთ—მითხარით, რომ არაფერი შეცვლილა ჩვენ შორის. უსათუოდ უნდა მოგელაპარაკოთ. ე. ტ."

სტარცევმა წაიკითხა წერილი, ცოტად დაჰფიქრდა და უთხრა პავლეს:

— უთხარი, დღეს არა მცალიან და ვერ შემოვივლი. შეიძლება სამი ან ოთხი დღის შემდეგ მოვახერხო.

სამმა დღემაც გაიარა, კაი ერთმა კვირამაც, მაგრამ სტარცევი კი ჯერ არ მისულიყო იმათსა. ერთ დღეს, იმათ სახლს რომ ჩაუარა გვერდით, გაიფიქრა—სირცხვილია, ერთი წუთით მაინც უნდა შევიაროო, მაგრამ მალე გადაიფიქრა და არ შევიდა.

ამის შემდეგ აღარასოდეს აღარ ყოფილა ტურკინებთან.

V

კიდევ რამდენიმე წელიწადმა გაიარა. სტარცევი უფრო გასქელდა, ღიპი გაეზარდა, სიარულის დროს თავს მაღლა გადიქინდრავდა და ძლივსღა ჰქშინავდა; როდესაც სქელი და ჭარხალივით გაწითლებული სტარცევი გამოივლის ჟღარუნებ-შებმულ სამ-ცხენიანი ეტლით და დასიებული და კისერ გასქელებული მეეტლე ხელებ წაწვდილი ბოხის ხმით დასძახებს „ხაბარდა!" ისეთი სურათი იხატება, თითქოს ადამიანი კი არა, კერპთაყვანისმცემელთა ღმერთი ზის ეტლში და თვის საბრძანებლის დასათვალიერებლად მიემგზავრებაო. მას ეხლა მეტად დიდი პრაქტიკა ჰქონდა ქალაქში და ერთ წუთს ვერა ჰპოულობდა თავისუფალს. სტარცევს ერთი კაი მოზდილი მამული ჰქონდა სოფელში, ქალაქში—ორი სახლი და ეხლა მესამეზედაც ეჭირა თვალი. როცა „საკრედიტო საზოგადოებაში" შეივლის და ეტყვიან: ეს და ეს სახლი საჯაროდ იყიდებაო, ექიმი სტარცევი დაურიდებლად მიდის იმ სახლში, აგრეთვე დაურიდებლად გაივლის მთელს სახლს თავიდან მოყოლებული ბოლომდის და, რასაკვირველია, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს ხოლმე არც ტანთ-ჩაუცმელ ქალებს და არც შიშითა და კრძალვით შემაცქერალ ბავშვებს; დადის ერთი ოთახიდან მეორეში და კედელს, კარებს ჯოხს აკაკუნებს, სინჯავს და ამბობს:

— ეს კაბინეტია? ეს საწოლი ოთახი. ეს რაღაა?

ამ ლაპარაკის დროს ძლივს სუნთქავს და შუბლიდან ხვითქათ გადმოდენილ ოფლს იწმენდავს.

მას მეტად ბევრი საქმე აქვს, მაგრამ სოფლის ექიმობას მაინც არ ანებებს თავს. ხარბობა და გაუმაძღრობა ძვალსა და რბილში გაუჯდა, უნდა იქაც მოასწროს საქმე და აქაც. დიალიჟში და ქალაქშიაც მას იონიჩს ეძახიან.—„ეს სად მიემგზავრება იონიჩი?" ან არა და: „იონიჩი ხომ არ მოვიწვიოთ კონსილიუმზედ?"-ო, ამბობენ მოქალაქენი, როცა სტარცევზედ უნდათ რამის თქმა.

ალბათ, ყელის სიმსუქნით ხმა დაუწვრილდა და ეხლა მეტად უსიამოვნო ხმით ლაპარაკობს. ხასიათიც გამოეცვალა; მძიმე ხასიათისა და ბრაზიანი გახდა. როცა ავადმყოფებს იღებს, ჩვეულებრივ ცხარობს, მოუთმენლად არახუნებს იატაკზედ ჯოხსა და თავის უსიამოვნო ხმით ჰყვირის:

— მე ყოველთვის გეუბნებით, მხოლოდ კითხვებზედ მიპასუხეთ მეთქი! კარგი, გაჩუმდით!

ის მარტოთ მარტოა. მოწყენილად სცხოვრობს და არა აინტერესებს რა.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც დიალიჟში სცხოვრობდა ექიმი სტარცევი, მის ერთად-ერთ პირველ, და მგონი უკანასკნელ, სასიხარულო საგნათ კატოს სიყვარული იყო.

საღამოობით, თითქმის ყოველ დღე, „ვინტს" თამაშობს კლუბში და მერე უზის დიდ მაგიდას და ვახშამს შეექცევა. მას ყველაზე უხუცესი ლაქია — ივანე — ემსახურება, სვამს ლაფიტს № 17 და კლუბის მამასახლისიდან დაწყებული მზარეულამდე თითქმის ყველამ იცის „იონიჩის" რა და რა საჭმელი და რა და რა სასმელი უყვარს, რა ეჯავრება, რა ესიამოვნება. ყველანი სცდილობენ არ აწყენინონ და ყოველი ჟინი აუსრულონ, რომ უცბათ არ გაჯავრდეს და ჯოხით რახუნს არ მოჰყვეს.

ვახშმის ჭამის დროს, ხანდახან მობრუნდება და ჩაერევა სხვის ლაპარაკში.

— ვიზე ლაპარაკობთ? ჰა? რაო, არ მესმის?

თუ ისე მოხდა, რომ რომელიმე მეზობელ მაგიდასთან მჯდომნი ტურკინებზე ჩამოაგდებენ ლაპარაკს, მობრუნდება და დაეკითხება:

— ე რომელ ტურკინებზე ლაპარაკობთ? აი იმათი ქალი, როიალზე რომ უკრავს?

აი ყველა ის, რაც შეიძლება ითქვას ექ. სტარცევზე.

ტურკინები-და? ივან პეტროვიჩი სრულიად არ დაბერდა, არც გამოიცვალა; ძველებურად ისევ ოხუნჯობს და ანეგდოტებს უამბობს სტუმრებს; ვერა იოსიფოვნა დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით უკითხავს სტუმრებს თავისს რომანებს. კატოც ყოველ დღე ოთხი საათი როიალზე უკრავს. ის საკმაოდ დაბერდა, დასჭკნა, ავადმყოფობს კიდეც და ყოველ შემოდგომას ყირიმში დაიარება დედით. ივან პეტროვიჩი მატარებლის დაძვრის წინ, გასაცილებლად რომ გაჰყვება სადგურზე, ეუბნება:

— მშვიდობით, თქვენი ჰირიმე!

და მიმავალ მატარებელს ცხვირსახოცს უქნევს ხოლმე კარგა ხანს.

ი. პ—ვი.

„პალატა იწონებს საშაქრო კონვენციის პოლიტიკას და იმის დამტკიცების შემდეგ პალატა მზად არის საჭირო საშუალება იხმაროს სისრულეში მოსაყვანად“.

ბრიუსელი. გაზ. „ჟურნალ დე ბრიუსელ“ იუწყება, ვითომც გრაფი ფლანდრისა დამბლად ჩავარდაო. ჰავასისა და რეიტერის სააგენტოებს შეუტყვია, რომ გრაფი ძლიერ გაციებული იყო, მაგრამ ახლა გამოკეთდაო.

ბელგრადი. სერბიის ელჩი ლონდონში მილიჩევიჩი ბერლინს დაინიშნა ელჩად. აქაური ელჩი სტეიჩი-კი სამსახურს დაეთხოვა.

პარიჟი. პელტანმა გადასცა საბიუჯეტო კომისიას ის მოხსენება, რომელიც საფრანგეთის სამხედრო მთავარ-სარდალმა ჩინეთში ვუარონმა 1901 წელში წარმოადგინა. პალატამ თავის დროზე განიხილა ჩინეთის ექსპედიციისათვის საჭირო სესხის კანონ-პროექტი და უარჰყო პელტანის წინადადება, რომლითაც იგი თხოულობდა, რომ ვუარონის მოხსენების ის ნაწილი, სადაც მისიონერებზე დანახარჯია მოხსენებული, მოხსენდეს პალატასაო.

ბუენოს-აირესი. სანტაფეს პროვინციის ქალაქ სან-ურბანოში ქარიშხალმა 100 სახლი დაანგრია; 5 კაცი მოკლულია და 15 —დასახიჩრებული.

ესსენი. იმპერატორმა და იმპერატრიცამ კრუპის ქვრივს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს.

ტანჟერი. 4 ნოემბერს სულთანი მეკნესს მოვიდა და გზით ბენიდერების ხალხი დასაჯა.

ლონდონი. ვაჭრობის მინისტრმა დეპუტატთა პალატას გამოუცხადა, რომ რუსეთის შაქარი უფრო აზიის ქვეყნებში მიდისო. ზედმეტ შაქრის ევროპაში გამოზიდვას თუ მოისურვებს რუსეთი, შეუდგება პირობების შემუშავებას და შესძლებს ინგლისშიაც გამოიტანოს შაქარი, სადაც ფასები უფრო მეტია, მაშინ იმის შიში არ უნდა გვქონდეს, რომ რუსეთი გაავსებს შვეიცარიას იაფის შაქრით. კიდეც რომ ასე მოხდეს, ამის ფაქტები კომისიას უნდა წარუდგინოს და ზარალი იმ სახელმწიფოებს უნდა გაეწეროს, რომელნიც ხელ-შეკრულობაში შემოსულნი არიან. თუ ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ თან-ტოლ გადასახადს მოუმატოს, ამიტომ რომ საჭირო იქნება რომელისამე სახელმწიფოსათვის მფარველობა, ამ შემთხვევაში რუსეთმა ჯერ კიდევ სამის წლის წინად მიაქცია ამაზე ინდოეთის მთავრობას ყურადღება და ინგლისმაც აცნობა რუსეთს, რომ თან-ტოლი გადასახადი პრინციპს არ ეწინააღმდეგება და ისიც დაუმატა, რომ თუ ამას რუსეთი არ დაეთანხმება, ინგლისი უარს ეტყვის რუსეთს სავაჭრო ხელ-შეკრულობაზეო. პარკური ურჩევს პალატას სავაჭრო კონვენციაზე უარის თქმას.

13 ნოემბერი

ვიატკა. ხალხის სიფხიზლის სამზრუნველოს სამაზრო კომიტეტმა ვიატკაში ერთხმად გადასწყვიტა, საზრუნველოს დაწესებულებებსა, საჩაიებსა და სასადილოებში ხალხს არყის დალევის ნება არ უნდა მიეცესო.

ვაშინგტონი. დიდმა ბრიტანიამ და გერმანიამ ნამდვილად შეიტყვეს, რომ ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტრო არას იტყვის იმ ენერგიულ საშუალებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ეს სახელმწიფოები ვენეცუელას წინააღმდეგ მიიღებენ თავიანთ ქვეშევრდომთა უფლების დასაცველად. რუზველტმა გამოაცხადა, შეერთებულ შტატები სულაც არ აპირობენ ამერიკის რესპუბლიკები საკუთარ საქციელთა შედეგისაგან დაიცვან,—მხოლოდ ეგ არის, რომ ევროპიულ სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ ამერიკის რომელსამე რესპუბლიკის დასასჯელად ადგილი დაიჭირონ ამერიკაში.

პარიჟი. ექსპერტებმა დაადგინეს, გარის სიკვდილის მიზეზი შეიძლება უბრალო შემთხვევაც იყოსო. რიძეგსკი გაანთავისუფლეს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ლაბუშერმა იკითხა: იაპონიასთან შეთანხმებაში საიდუმლო მუხლები ხომ არ არისო? კრანბორნმა უპასუხა: იმ განმარტებას, რომელიც 6 ნოემბერს მივეცი პალატას, ვერას დავუმატებო.

სავაია. მთა ჯერ არ ჩამქრალა. მიწის ძვრამ მცირე ზარალი მისცა ხალხს.

პარიჟი. პირველმა მინისტრმა აცნობა მინისტრების საბჭოს, ქვანახშირის მუშების გაფიცვა დასრულდაო, ლუარის დეპარტამენტის გარდაო; მაგრამ, იმედია, იქაც მალე დაიწყებენ მუშაობასაო. ქვანახშირის მრეწველთ ამხანაგობანი და მუშები სამედიატორო სასამართლოებს დასთანხმდნენო. ფინანსთა მინისტრს მიანდეს, პალატას ორის თვით დროებითი კრედიტი სთხოვოს.

ლონდონი. ჩემბერლენი სამხრეთ-აფრიკას მიდის.

სოფია. გაზეთები იუწყებიან, სამინისტრო კრიზისი ჯერ არ დასრულებულაო. სლავიანურ გაზეთების გავრცელებას ჰკრძალავენ. სერბიის მინისტრ-პრეზიდენტმა მარკოვიჩმა გადასწყვიტა, საერო კრება ორის თვის შემდეგ დაითხოვოს.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობამ მისწერა ზღვის სამინისტროს, მეწამულ ზღვის ყაჩაღების წინააღმდეგ მზად იქონიეთ გემებიო, რადგანაც იტალიას პირობა მივეცით, მეწამული ზღვა ყაჩაღებისაგან გავსწმინდოთო.

სოფია. სამხედრო მინისტრმა მაკედონელ ოფიცრებისაგან საერთო თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ არ მიიღო.

კონსტანტინეპოლი. სასანიტარო საბჭომ ოდესიდან მოსულ საქონლის გასინჯვა გააუქმა.

რომი. პაპმა ვარშავის ეპისკოპოსი მიიღო.

ლონდონი. კრანბორნმა გამოაცხადა პალატაში, საერთაშორისო ჯარებს მალე ერთსა და იმავე დროს გაიყვანენ შანხაიდანაო.

პარიჟი. ლუბეს თანადასწრებით საექიმო აკადემიის ახალი შენობა გახსნეს.

ტოკიო. იაპონიამ გამოაცხადა: თუ რომელიმე სახელმწიფო შანხაიში ჯარს გაგზავნის, მეც უფლება მექნება ჯარი გავგზავნო იქაო.

ბერლინი. ჩვენი ჯეჯილები უფრო ცუდია, ვიდრე ამ უკანასკნელ ცხრა წელიწადს იყო, შვრის კიდე—ვიდრე უკანასკნელ რვა წელიწადს იყო.

პეტერბურგის ბირჟა 12 ნოემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99⅝ „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	94½ „
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	373¾ „
5% გირავნ. მოძვ. ფურც. სახელმ. სადგ მამ. ბანკისა	298 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88½ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅞ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქციი	194 „

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

[illegible]

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—51)

ყოველგვარ

ხეხილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად, ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი უბრალო წერილებისათვის: „სკრა“, კავკასიის რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორი, ფარს. იაკ. ავსარქისოვს კატალოგები გაეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. (6—4)

ქ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩაზე კოკოლდოვის შესახვევში

ტარიელ დიმიტრის ძე

გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—11)

Изданія Акціонернаго Общества «ГУТТЕНБЕРГЪ»

Открыта подписка на **903** годъ

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ, ЛИТЕРАТУРНУЮ И ЭКОНОМИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„НОВОСТИ“

ВМѢСТѢ СЪ 5ю ПРИЛОЖЕНІЯМИ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

1-го (большого) изданія

Для городскихъ подписчиковъ:

На годъ	11 мѣс.	10 мѣс.	9 мѣс.	8 мѣс.	7 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
16 —	15 —	13 50	12 —	11 —	10 —
6 мѣс.	5 мѣс.	4 мѣс.	3 мѣс.	2 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
9 —	7 50	5 80	4 50	3 30	1 80

Для иногороднихъ подписчиковъ:

На годъ	11 мѣс.	10 мѣс.	9 мѣс.	8 мѣс.	7 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
17 —	15 —	14 50	13 50	12 50	11 30
6 мѣс.	5 мѣс.	4 мѣс.	3 мѣс.	2 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
10 —	8 50	7 —	5 50	4 —	2 —

II-го (малаго) изданія

Для городскихъ подписчиковъ:

5 РУБЛЕИ на 12 мѣсяцевъ, 2 р. 50 к. на 6 мѣс., 1 р. 25 к. на 3 мѣс. и 50 коп. на 1 мѣс.

Для иногороднихъ подписчиковъ:

6 РУБЛЕЙ на 12 мѣсяцсвъ, 3 р. на 6 мѣс., 1 р. 50 к. на 3 мѣс. и 55к. на 1 мѣс.

Отъ конторы газеты „НОВОСТИ“

ПОНИЖЕНІЕ ПОДПИСНОЙ ЦѢНЫ ВТОРОГО ИЗДАНІЯ ГАЗЕТЫ „НОВОСТИ“

(для городскихъ подписчиковъ 5 р. вмѣсто 10 р. и для иногороднихъ 6 р. вмѣсто 11 р.),

безъ измѣненія ея формата и содержанія большой политической, литературной и экономической газеты,—дѣлаетъ это изданіе ОБЩЕДОСТУПНЫМЪ.

5 БЕЗПЛАТНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ 5

будутъ заключать въ себѣ статьи извѣстныхъ авторовъ, а также новѣйшія свѣдѣнія и, вообще, матеріалы по гигіенѣ и медицинѣ, домоводству-сельскому хозяйству, успѣхамъ техники, торговли и промышленности, педагогикѣ и, вообще, по всѣмъ предметамъ, могущимъ способствовать удовлетворенію потребности въ самообразованіи.—ОСОБОЕ приложеніе будетъ посвящено новѣйшимъ модамъ и спорту,

52 №№ „ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“ Еженедѣльный иллюстрированный художественно-литературный журналъ. Отдѣльная подписная цѣна журнала: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкой и пересылкою: на 1 годъ—6 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 1 мѣс.—1 руб.

12 №№ „ЭСКУЛАПЪ“ Медико-Гигіеническое Обозрѣніе.

12 №№ *„Техническое Обозрѣніе“*. (Новѣйшія открытія и изобрѣтенія, успѣхи промышленности и торговли въ связи съ успѣхами наукъ, просвѣщенія и техники).

12 №№ *«Природа и Хозяйство»* (Естественныя науки, сельское хозяйство, садоводство и т. п.)

12 №№ Новѣйшія Моды и Спортъ.

ВЪ ГАЗЕТѢ и ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЛИ и ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:

Анненкова-Бернаръ, Н. П.—Арабажинъ, К. И.—Арепьевъ,—Н. Ф.—Атловъ, К. А.—Баранцевичъ К. С.—Барятинскій, В. В —Бентовинъ, Б. И.—Берсъ, А. А. Билибинъ В. В.—Бирюковичъ, В. В.—Боборыкинъ, П. Д.—Быстровъ, Н. И.—Бѣловъ, В. Д.—Василевскій, И. Ф. (Буква).—Ватсонъ, М. В.—Вейнбергъ, П. И. Венгеровъ, С. А.—Венгерова, З. А.—Верещагинъ, В. В.—Веселовская, А. А.—Веселовскій, А. Н.—Веселовскій О. А.—Габриловичъ, Л. Е.—Головачевъ, А. А.—Городецкій, М. Б.—Далматовъ, В. П.—Дембо, Г. И.—Доброгостъ, С. Л.—Игнатьевъ, Е. И. Исаевъ, А. А.—Капнистъ, Ида, гр.—Карцевъ, Е. Е.—Кауфманъ, Ил. И.,—Карабчевскій, Н. П.—Кулишеръ, М. И.—Красновъ, Пл. Н.—Кудряшевъ, М. И.—Кюи, Ц. А.—Ларошъ, Г. А.—Лесманъ, А. М.—Ломброзо Чезаре.—Лондонъ, Е. В.—Мантегацца Паоло.—Минскій (Виленкинъ), Н. М.—Мордовцевъ, Д. Л.—Морозовъ, П. О. Недзвѣцкій, В. И.—Немировичъ-Данченко, В. И.—Никитинъ, В. Н.—Никольскій, Д. П.—Оршанскій, И. Г. Песковскій, М. Л.—Петлинъ, Н. С.—Писаревъ, М. И.—Плющикъ-Плющевскій, Я. А.—Покровская, М. И.—Половцевъ, А. В.—Полонскій, Л. А.—Радцигъ, А. А.—Ракшанинъ, Н. О.—Раппопортъ, С. И.—Рославлевъ, І. І. (Псевд.).—Сафоновъ, С. А. (Печоринъ),—Семеновъ, Е. П.—Сильчевскій, Д. П.—Скабичевскій, А. М.—Слобожанинъ, Е. Д.—Спасовичъ, Б. Д.—Стасовъ, В. В.—Толстой, К. К.—Трачевскій, А. С.—Умановъ-Каплуновскій, В. В.—Ферреро Гульельмо,—Фирсовъ, Н. Н. (Рускинъ),—Фламмаріонъ Камиллъ,—Фроловъ, В. К.—Хирьяковъ, А. М.—Цѣховская, В. Н.—Чюмина, О. Н.—Шинель, (Псевд.)—Шапировъ, Б. М.—Шапиръ, О. А.—Шумковъ, В. В.—Энгельгардтъ, М. А.

Контора газеты «НОВОСТИ» Невскій просп., 52. Телефонъ 787.

При конторѣ газеты „НОВОСТИ“ существуетъ

КНИЖНЫЙ МАГАЗИНЪ,

услугами котораго подписчики „НОВОСТЕЙ“ пользуются на льготныхъ условіяхъ. (ъ. 4—4)

Дозв. ценз. Тифлисъ, 13 Ноября, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).